პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართველი ხალხი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 38 (5139) | ოთხშაბათი, 16 თებერვალი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია

საქართველოს მრეწველობის საბრძოლო ამოცანები (მოწვინავე).

გაიხსნა სრულიად-რუსეთის XVI მოწვევის ცაკის IV სესია (1-ლი გვ.).

ს. ხოშტარია — სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმა (ფელეტონი. მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკს (მე-2 გვ.).

ვ. ნიკიტინი — პერეკოპის ბრძოლის პანორამა (ფელეტონი. მე-3 გვ.).

ს. თავაძე — ხუთძიმიანი ვარსკვლავები (ლექსი). (3 გვ.).

უცხოეთში

საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.).

შუშნიგის მოლაპარაკება ჰიტლერთან (1-ლი გვ.).

„დემოკრატიული ესპანეთის მეგობრების საზოგადოების“ წევრთა ყრილობა (1-ლი გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მრეწველობის საბრძოლო ამოცანები

გასული წელი საქართველოს მრეწველობამ ახალი გამარჯვებებით დაასრულა. გადიდდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1936 წელთან შედარებით, გაფართოვდა ასორტიმენტი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა პროდუქციის ხარისხიც.

1938 წლის გეგმა უფრო დიდ და რთულ ამოცანებს უსახავს საქართველოს სოციალისტურ მრეწველობას.

წელს ჩვენს რესპუბლიკური მნიშვნელობის ფაბრიკა - ქარხნებში (საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის გამოკლებით) უნდა დამზადდეს 511 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ შარშანდელ გეგმასთან შედარებით წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა დაახლოვებით 24,5 პროცენტით გაიზრდება.

ამასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს დამზადებული პროდუქციის ხარისხი. შრომის ნაყოფიერება მძიმე მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში გასულ წელთან შედარებით საშუალოდ 16 პროცენტით უნდა გაიზარდოს, საქართველოს მუშებს მრეწველობაში კი 7,6 პროცენტით.

ამ მეტად პასუხსაგებ და რთულ ამოცანათა შესასრულებლად აუცილებელია მუშაობის ხარისხის ახალ სიმაღლეზე აყვანა, წარმოების ორგანიზაციისა და კულტურის გადაჭრით გაუმჯობესება.

გასატარებელ ღონისძიებათა მთლიან სისტემაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოო პროცესების შეწყობილად წარმართვას, რაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების, შახტებისა და მაღაროების ხელმძღვანელები და ინჟინერ-ტექნიკოსები შესძლებენ ტექნოლოგიურ პროცესებში მტკიცე საოპერაციო გრაფიკის დანერგვას, საწარმოო სიმძლავრეებისა და მანქანა-მოწყობილობათა მაქსიმალურად გამოყენებას.

იარაღ-მანქანათა გაცდენისა და ავარიების ლიკვიდაცია, სამუშაო ადგილების რაციონალურად მოწყობა, იმ საწარმოო-ტექნიკურ დავალებათა განხორციელება, რომლებიც „წარმოადგენენ ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელს“, ჩვენი სამეურნეო მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკოსების, საწარმოთა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მთავარ სამოქმედო პროგრამად უნდა იქცეს.

რადაც უნდა დაგვიჯდეს, წელს ქვანახშირის მრეწველობაში ციკლთა რაოდენობამ დღეღამის განმავლობაში უნდა მიაღწიოს მინიმუმ ერთს, საყელავი მანქანის თვიურმა წარმადობამ კი 4.500 ტონას.

სამშენებლო მასალათა მრეწველობაში, განსაკუთრებით კი აგურკრამიტის ქარხნებში მკვეთრად უნდა გადიდდეს ციცხლის ბიჯი, საშრობი ფარდულების თვიური ბრუნვა არ უნდა შეადგენდეს 5-ზე ნაკლებს, ხოლო ღუმელის სივრცის ერთი კუბური მეტრიდან მიღებულ უნდა იქნას არანაკლებ 1.150 ცალი გამომწვარი აგურისა.

მსუბუქი მრეწველობის ძირითადი ამოცანაა იარაღ-მანქანების გაცდენებისა და ავარიების სრული ლიკვიდაცია, პროდუქციის ახალი სახეების ათვისება, წუნის სრული მოსპობა, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

საქართველოს კვების ინდუსტრიის მუშაკთა ღირსების საქმეა მიაღწიონ კვების პროდუქტების სიუხვეს. ამასთან ერთად მათ მაქსიმალურად უნდა იზრუნონ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. შეუწყნარებელია, რომ, მაგალითად, პურის ცხობის მრეწველობამ შემდეგშიც არ დაიცვას პროდუქციის საგეგმო ასორტიმენტი (განსაკუთრებით კი ცალობრივი პურისა და ბულკის გამოშვების დარგში).

საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ ამხანაგ მიქოიანის მითითება იმის შესახებ, რომ კვების პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში წელს ძირეული გარდატეხა უნდა მოხდეს.

1938 წლის გეგმით გათვალისწინებული სამეურნეო ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელობის ფორმებისა და სამმართველო აპარატის გადახალისებას.

მძიმე მრეწველობის სტალინური სახკომის ამხანაგ ლ. კაგანოვიჩის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ-კანცელარიული მეთოდების წინააღმდეგ, რომ საჭიროა მომუშავეთა შორის პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება, მათი ბოლშევიკურ თვითკრიტიკაზე აღზრდაო, ერთნაირად შეეხება მძიმე, კვების, მსუბუქ და ტყის მრეწველობაში მომუშავეებს.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში რატომღაც ძალიან ცოტა რამ ისმის სამეურნეო აქტივის თათბირებზე, იმ თათბირებზე, რომელთა რეგულარული მოწვევის აუცილებლობა ხაზგასმით აღნიშნულია საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებებში.

დროა ჩვენი სამეურნეო კომისარიატების, ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მაღაროების ხელმძღვანელებს ახსოვდეთ პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ სამეურნეო ფრონტზე გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა საწარმოთა საუკეთესო ადამიანებისაგან, სტახანოველებისა და დამკვრელებისაგან მტკიცე აქტივის შექმნა, მათი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.

გასულ წელს საქართველოს მრეწველობამ ძირითადად ვერ შეასრულა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. წელს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მეთაურებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა — მთელმა საწარმოო კოლექტივმა — უნდა მიაღწიონ პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებას, ამისათვის საჭიროა ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვა, სათბობისა და ელექტრო-ენერგიის მაქსიმალური ეკონომია, საწარმოო პროცესების, განსაკუთრებით კი მეტად შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, საერთო პროდუქციაში დაუმთავრებელ წარმოების მოცულობისა და საერთოსამმართველო ხარჯების მკვეთრად შემცირება.

ყოველწლიურად ძლიერდება და მტკიცდება საქართველოს მრეწველობა. წელსაც ჩვენი ქვეყანა საქართველოს სოციალისტური მრეწველობისაგან მოელის მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

მიმდინარე წლის პირველი თვე საქართველოს მრეწველობამ გარღვევით დაასრულა. საქართველოს ადგილობრივ, მსუბუქ და კვების მრეწველობაში თვიური გეგმის შესრულება საშუალოდ 93 პროცენტს არ აღემატება. თებერვალში ჩვენმა მრეწველობამ უნდა შესძლოს არა მარტო თვიური გეგმის შესრულება, არამედ იმის მოცემაც, რაც მან ქვეყანას იანვარში დააკლო.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით, მავნებლობის შედეგების ბოლშევიკურად აღმოფხვრით, ტექნოლოგიური პროცესების მოწესრიგებით, შრომისა და წარმოების რაციონალურად მოწყობით საქართველოს მრეწველობის სახელოვანი კოლექტივი ღირსეულად გადასჭრის იმ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც დასახულია მის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ.

უკანასკნელი ცნობები

„ჭაიმირის“ მფრინავები ემზადებიან პაპანინის ყინულზე გასაფრენად

ამხ. უშაკოვის ლაპარაკი რადიოტელეგრაფით ამხ. ოსტალცევთან.

15 თებერვალს 5 საათსა და 46 წუთზე მოსკოვის დროით ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. უშაკოვი რადიოტელეგრაფით დაუკავშირდა „ტაიმირის“ ექსპედიციის ხელმძღვანელს ამხ. ოსტალცევს. ამხ. უშაკოვი ლაპარაკობდა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს მოსკოვის რადიოცენტრიდან.

ამხ. ოსტალცევმა შემდეგი აცნობა:

— პაპანინთან კარგი კავშირი გვაქვს დამყარებული. ვლაპარაკობ მიკროფონით დღეში ორჯერ. გარდა ამისა ბოლისა და შუქის სიგნალებს ვაძლევთ ერთმანეთს. კარგად ვხედავთ პაპანინელთა სუსტ კოკონებს. ჩრდილო-აღმოსავლეთით, შორს ჰორიზონტზე, ანათებს „მურმანის“ მარსის პროჟექტორი.

ამჟამად ამინდი კარგია — ანათებს მთვარე. ყინვა 10 გრადუსამდეა. მოსჩანს გრენლანდია.

„ტაიმირის“ მდგომარეობა ჩინებულია. გაშლილ ზღვასა და ყინულებში გადატანილი ოთხი ქარიშხლის შემდეგ დაღლის მიუხედავად, ეკიპაჟი მშვენივრად მუშაობს.

ყინული მსხვილად ნამტვრევია, ერთმანეთს ეყინება, მისი სისქე საშუალოდ 3-4 მეტრს უდრის.

15 თებერვალს 6 საათზე ჩვენი კოორდინატებია — ჩრდილოეთის განედის 71 გრადუსი და 01 წუთი და დასავლეთის გრძედის 18 გრადუსი და 50 წუთი. 14 თებერვლის 20 საათიდან დაწყებული ჩვენ 10 საათში გავიარეთ 6 მილი ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ჭქრის სამხრეთ-დასავლეთის სუსტი ქარი. ყინული შემჭიდროვდა.

მივადექით ყინულს, რომელიც მფრინავ ვლასოვს აეროდრომისათვის გამოსადეგად მიაჩნია. შევუდექით თვითმფრინავების გადატვირთვას. იმავე დროს ვწმენდთ აეროდრომს. თუ ხილვადობა იქნება, გავფრინდებით.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

სუიჯოუ, 14 თებერვალი (საკ-დესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბნის ზონაში ძლიერი ბრძოლები სწარმოებდა სამი დღის განმავლობაში მდინარე ხუაიხეს ჩრდილო ნაპირების გასწვრივ. ღამით, 11 თებერვალს ლინხუაიგუანის რაიონში (ფინ-იანის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და ბენპუს მახლობლად (ფინ-იანის ჩრდილო-დასავლეთით) იაპონელთა ჯარის ორი პოლკი კატარღების საშუალებით გადავიდა მდინარე ხუაიხეს. ჩინეთის ჯარები, იაპონელთა ქვემეხების გრიგალისებური ცეცხლის გამო, იძულებული შეიქმნენ დაეხიათ მდინარიდან რამდენიმე კილომეტრით, მაგრამ ჩინელებმა უკუაგდეს იაპონელთა რამდენიმე იერიში, რამაც შეაჩერა იაპონელთა ჯარების შეტევა.

12 თებერვალს იაპონელთა ჯარები განაგრძობდნენ მდინარე ხუაიხეზე გადასვლას. ჩინელთა ჯარების მოსულმა დამხმარე ძალებმა ძლიერ დაჭკრეს იაპონელთა მარჯვენა ფლანგს. იაპონელთა ჯარებმა დაიხიეს მდინარე ხუაიხესაკენ.

11 თებერვალს ჩინეთის 24 თვითმფრინავი ყუმბარებს უშენდა ბენპუს, ლინხუაიგუანსა და მინტაიძის (ფინ-იანის აღმოსავლეთით). დაახლოებით 80 ყუმბარა იქნა ჩამოგდებული ბენპუზე.

საჰაერო ბომბარდირებით დანგრეულია მცურავი ხიდი სოფელ ჯანხუაივეისთან (ბენპუს აღმოსავლეთით). ერთი ყუმბარა შოხვდა სამხედრო მატარებელს. მოკლულია მრავალი იაპონელი ჯარისკაცი. ბენპუს აეროდრომზე განადგურებულია ოთხი იაპონური თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ლონდონი, 14 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იტყობინება ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის სექტორში მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ იაპონელთა ჯარები მიიწევენ წინ სამხრეთისაკენ რკინიგზის გაყოლებით და მიაღწიეს ქალაქ ტან-ინს (ჯანდეს სამხრეთით). ჩინეთის ჯარების საველე შტაბი იმყოფება სინსიანში.

რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შანდუნის პროვინციაში ქალაქ ძინინის რაიონში ჩინეთის ჯარებმა განაახლეს აქტიური მოქმედება. მათ სამი მხრიდან მიაქვთ იერიში ქალაქ ძინინზე.

გაზეთ „ტაიმსის“ ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის პარტიზანული რაზმები ჩრდილო-ჩინეთში სისტემატურად არღვევენ იაპონიის საკომუნიკაციო ხაზებს. ამასწინათ ბაოდინის რაიონში (ბეიპინის სამხრეთ-დასავლეთით 140 კილომეტრის მანძილზე) იაპონიის ჯარებსა და პარტიზანებს შორის გაიმართა ბრძოლა. პარტიზანები აგრეთვე გამოჩნდნენ ჩოჯოუს რაიონში (ბეიპინის სამხრეთ-დასავლეთით 60 კილომეტრის მანძილზე).

სუიჯოუ, 14 თებერვალი (საკ-დესი). ჩინეთის შტაბის ცნობებით, სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილის სანაპიროზე გაიმართა ბრძოლა იაპონიის ჯარებსა და პარტიზანებს შორის. პარტიზანები აგრეთვე გამოჩნდნენ ჩოჯოუს რაიონში (ბეიპინის სამხრეთ-დასავლეთით 60 კილომეტრის მანძილზე).

სუიჯოუ, 14 თებერვალი (საკ-დესი). ჩინეთის შტაბის ცნობებით, შანდუნის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სანაპიროზე რამდენიმე დღის წინათ გადმოსხეს იაპონიის დესანტი,

№ ლეგიონი. საბრძოლო სწავლება. **სურათზე:** ფრიადოსანი მემიზნე ამხ. ბრეგვაძე (უკან) თავის მეთაურთან. ამხ. ბეგიაშვილი ამოწმებს დამიზნებას.
ფოტო სტოლიაროვისა და ბუდეშტაკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

„დემოკრატიული ესპანეთის მეგობრების საზოგადოების“ წევრთა ყრილობა

პრაღა, 14 თებერვალი (საკდესი). გუშინ პრაღაში დამთავრდა „დემოკრატიული ესპანეთის მეგობრების საზოგადოების“ წევრთა სრულიადჩეხოსლოვაკიის ყრილობა.

ყრილობაზე გამოსული ორატორები გამოსთქვამდნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის უღრმეს სოლიდარობას მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ რესპუბლიკური ესპანეთის გმირული ბრძოლისადმი. ყველა გამოსული ორატორი მოითხოვდა დემოკრატიული ესპანეთისათვის ფართო დახმარების მოწყობასა და აღმოჩენას.

თავის გამოსვლაში დეპუტატმა მორიზმა სთქვა:

„ესპანეთში სწყდება მსოფლიოს ბედი, საერთაშორისო დემოკრატიის ბედი... რესპუბლიკური ესპანეთი გვიჩვენებს გზას, თუ როგორ დავიცვათ დემოკრატია ევროპაში“.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკური ესპანეთის წარმომადგენლები სევილიის ინსტიტუტის პროფესორი, სოციალისტური პარტიის დეპუტატი მანუელ პედროს მარტინესი და ბასკების დეპუტატი — ბილბაოს ბრძოლების მონაწილე, ესპანეთის დახმარების საერთაშორისო კომიტეტის წევრი ლუის მუიკ მაილინი. ორატორთა სიტყვებს ჰფარავდა მჭუხარე ოვაცია.

ყრილობამ აირჩია „დემოკრატიული ესპანეთის მეგობართა საზოგადოების“ ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიაც შევიდნენ გამოჩენილი საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწენი და მუშათა ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი.

ფაშისტური ავიაციის მიერ ქალაქ ბარსელონისათვის ყუმბარების დაშენის შემდეგ სანიტარული რაზმები მიეშურებიან დაჭრილთათვის დახმარების აღმოსაჩენად.
ფოტო „სოიუზფოტოსი“

შუშნიგის მოლაპარაკება ჰიტლერთან

ვენა, 14 თებერვალი (საკდესი). გუშინ ავსტრიის კანცლერმა შუშნიგმა ცალკეულ მინისტრებს მიაწოდა ინფორმაცია ჰიტლერთან თავისი მოლაპარაკების შესახებ. მისი ინფორმაციის შინაარსი არავინ იცის. გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუმცა შუშნიგის მოლაპარაკება ჰიტლერთან 10 საათზე მეტს გაგრძელდა, მაგრამ შეთანხმება „ზოგიერთ საკითხზე“ არ ყოფილა მიღწეული. როგორც საქმესთან კარგად გაცნობილ წრეებში ჰფიქრობენ, შუშნიგისა და ჰიტლერის საუბრის დროს ლაპარაკი იყო უმთავრესად იმაზე, რომ ავსტრიის მთავრობამ შესწყვიტოს რეპრესიები ჰიტლერელ პუტჩისტთა წინააღმდეგ, აგრეთვე იმაზე, რომ აღიკვეთოს ავსტრიელ ჰიტლერელთა ტეროროისტული საქმიანობა.

უნგრეთის და სამხრეთ-სლავიის გაზეთები თავიანთ ცნობებში ჰიტლერთან შუშნიგის შეხვედრის შესახებ აღნიშნავენ, რომ გამორიცხულია ავსტრიაში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის (ჰიტლერის აგენტურის) ლეგალიზაციის შესაძლებლობა.

მთავრობის ჯარებთან შუცბუნდელთა ბრძოლების წლისთავი

ვენა, 14 თებერვალი (საკდესი). 12 თებერვალს შესრულდა 4 წელი მას შემდეგ, რაც ავსტრიის მუშებმა — შუცბუნდელებმა ბრძოლები გაუმართეს მთავრობის სამხედრო ძალებს. ამ ბრძოლების დროს დაიღუპა რამდენიმე ასეული მუშა, რომლებიც იბრძოდნენ დემოკრატიული უფლებებისა და ავსტრიის ხალხის თავისუფლებისათვის. 12 თებერვლის წინა დღით ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩაატარეს მუშათა მასობრივი დაპატიმრება. განსაკუთრებით ბევრი დაუპატიმრეს კარინთიის პროვინციაში.

გაიხსნა სრულიად-რუსეთის XVI მოწვევის ცაკის IV სესია

ამხ. მ. ი. კალინინის შესავალი სიტყვა

ამხანაგებო, სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებო! 1937 წლის 21 იანვარს სრულიად-რუსეთის საბჭოების საგანგებო XVII ყრილობამ დაამტკიცა ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია.

იმავე სხდომაზე ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„დაევალოს სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რსფსრ-ის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე გამოიმუშაოს და დაამტკიცოს არჩევნების დებულება, აგრეთვე დააწესოს რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების ვადები“.

ყრილობის ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად 1938 წლის 10 თებერვალს სრულიად - რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა „რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ პროექტი და ურდგენს მას განსახილველად სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესია ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჩვენი რესპუბლიკის საარჩევნო კანონი შეეფერებოდეს დიად სტალინურ კონსტიტუციას.

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიას გახსნილად ვაცხადებ. (ტაში).

სრულიად-რუსეთის XVI მოწვევის ცაკის IV სესიის დღიური

14 თებერვალს კრემლში მუშაობა დაიწყო სრულიად-რუსეთის XVI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IV სესიამ.

18 საათისთვის აივსო ეროვნებათა საბჭოს სხდომის დარბაზი. ადგილებს იკავებენ სრულიად-რუსეთის ცაკის წევრები, ჩამოსულნი რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან, და მრავალრიცხოვანი სტუმრები—მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, წითელი არმიის, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელნი.

დარბაზში შემოდიან ამხანაგები კალინინი, მოლოტოვი, ანდრეევი, ჟდანოვი, პეტროვსკი, შკირიატოვი, გორკინი. იწყება მჭუხარე ოვაცია. სრულიად-რუსეთის ცაკის წევრები და სტუმრები მხურვალედ მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მოკლე შესავალ სიტყვას ამბობს ამხ. მ. ი. კალინინი. ტაშის გრიალში იგი სრულიად-რუსეთის ცაკის IV სესიას გახსნილად აცხადებს. სესიის დღის წესრიგში სდგას—რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტი. დღის წესრიგი და რეგლამენტი ერთხმად დამტკიცებულ იქნა.

სიტყვა ეძლევა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ა. ბულგანინს.

ტრიბუნაზე მის გამოჩენას დამსწრეები ხანგრძლივი ტაშის ცემით ხვდებიან.

ნახევარსაათიან მოხსენებაში ამხანაგი ბულგანინი დაწვრილებით ლაპარაკობს რსფსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტის ძირითად სტატიებზე და აგრეთვე სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებზე. იგი ხაზს უსვამს იმ უდიდეს ენტუზიაზმს, რომლითაც ჩატარდა საარჩევნო კამპანია და, რომელმაც გამოამჟღავნა უსაზღვრო ნდობა საბჭოთა კავშირის ხალხებისა ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკისადმი, დიდი ბელადის და ხალხთა მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

ამხანაგი ბულგანინი ლაპარაკობს შემდეგ რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკის გრანდიოზულ გამარჯვებებზე, მისი მეურნეობის და კულტურის უაღრესად სწრაფ ზრდაზე, საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის შეურყეველ ძლიერებაზე. ამ შესანიშნავ გამარჯვებებს რუსეთის ფედერაციის ხალხებმა მიაღწიეს ბოლშევიკური პარტიის და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. ლენინ-სტალინის პარტიის დროშით რსფსრ ხალხები ბოლშევიკურად ჩაატარებენ რსფსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებს.

მჭუხარე ტაშის ცემით და მისასალმებელი შეძახილებით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, დიდი რუსეთის ხალხის და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების პატივსაცემად, ამხანაგი ბულგანინი ასრულებს თავის მოხსენებას.

მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე ამხანაგი კალინინი აცხადებს სხდომის შეწყვეტას 15 თებერვლის დილის 11 საათამდე. (საკდესი)

ბ. ხოშტარია — სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმა

(ფელეტონი. მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკს (მე-2 გვ.).

გმირ პაპანინელთა განაკისაკენ

კურსი — პაპანინის განაკისაკენ

(„პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

„ტაიმირის“ გემბანზე, 14 თებერვალი, 23 საათი და 30 წუთი (რადიოთი). ჩვენ უშუალოდ მიახლოებული ვართ გმირული ოთხეულის ბანაკს. მძიმე ყინულებმა „ტაიმირი“ აიძულეს შეეწყვიტა პირდაპირი სვლა დასავლეთისაკენ. ხანმოკლე ძებნის შემდეგ აღმოვაჩინეთ ცოტად თუ ბევრად შესაფერი აეროდრომი გემიდან რამდენიმე ასი მეტრის მანძილზე. საჭირო იყო მხოლოდ აეროდრომის გაწმენდა კოპიჭებისაგან და მისი მოსწორება.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა გამოაცხადა მორიგი ავარალი. „ტაიმირის“ მეზღვაურები ნიჩბებით და წერაქვებით მოედვნენ თოვლიან მინდორს. გემბანიდან ყინულზე ფრთხილად ჩავუშვით ხელით თვითმფრინავი „უ-2“ და „შ—2“. მფრინავებმა ვლასოვმა და ოვჩინიკოვმა გულდასმით შეამოწმეს მანქანები: ყველაფერი სრულ წესრიგში აღმოჩნდა. მუშაობა აეროდრომზე სწარმოებდა დღისითაც და ღამითაც პროჟექტორებისა და ჩირაღდნების სინათლეზე.

კრენკელმა რადიოთი გვაცნობა, რომ მათი აეროდრომი, რომელიც პაპანინელებმა იპოვეს ბანაკიდან ორი კილომეტრის მანძილზე, მზადაა ჩვენი თვითმფრინავების მისაღებად. მეზამთრეებმა გასწმინდეს იგი. ოსტალცევის თხოვნით, ნაშუადღევის სამ საათზე კრენკელმა დაანთო დიდი კოცონი. ჩვენ გარკვევით ვხედავდით მას გემის ბოგიდან.

ნაშუადღევის შემდეგ მოულოდნელად ამოვარდა ძლიერი სამხრეთ-დასავლეთის ქარი, დაიწყო ყინულის ძლიერი მოძრაობა. აეროდრომსა და თვითმფრინავს შორის, რომელიც გემის მახლობლად იმყოფებოდა, გაბზარულ ყინულებს შორის გამოჩნდა წყალი. საჭირო შეიქნა ოპერაციის მთელი გეგმის შეცვლა. მეზღვაურთა და ექსპედიციის წევრთა ძალებით მანქანები დავშალეთ და ისევ გადავიტანეთ „ტაიმირის“ ბაქანზე.

გვიან საღამოს „ტაიმირმა“ ისარგებლა ყინულებში გაჩენილი ბზარებით და გაემართა დასავლეთისაკენ, პაპანინის ბანაკთან მიახლოების მიზნით. ახლა მივდივართ ყინულზე. მთელი ეკიპაჟი ფხიზლობს, ყველა დარწმუნებულია, რომ მალე შეეხვდებით გმირ მეზამთრეებს. მაღლა ანძაზე, სამეთვალყურო კასრში, ზის ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი, რომელსაც უკვე შესამე დღე-ღამეა რაც არ უძინია. ყინულმჭრელი გაჭირვებით, მაგრამ მხნედ მიიწევს წინ. მძიმე ყინული იძულებულს გვყოფს ვიაროთ მცირე სისწრაფით. ნშირად გვიხდება კურსის. შეცვლა, ვეძებთ სულ პატარა გასავლელს ყინულში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უშუალოდ მივუახლოვდებით გემით პაპანინელთა ყინულს.

დღეს, 14 თებერვალს, 12 საათზე ყინული, რომელზედაც მდებარეობს „ჩრდილო-პოლუსის“ სადგური, იმყოფებოდა ჩრდილოეთ განედის 71 გრადუსსა და 22 წუთზე და დასავლეთის გრძედის 20 გრადუსზე.

ო. კურგანოვი.

პაპანინელები მთელი ღამის განმავლობაში ხედავდნენ სინათლეს „ჭაიმირზე“

„ტაიმირის“ გემბანი, 14 თებერვალი (საკდესი). 19 საათი 10 წუთი. (საკდესის სპეც. კორ. რადიო). დღეს შუადღისას დაჰქროლა სამხრეთ-დასავლეთის ძლიერმა ქარმა, რომლის ზეგავლენით დაიწყო ყინულების მოძრაობა. იძულებული გავხდით დაუყოვნებლივ დაგვშალა თვითმფრინავები და დაგვეტვირთა გემბანზე. ვისარგებლებთ ყინულების მოძრაობით და მივუახლოვდებით პაპანინელებს. კრენკელის ცნობით, ისინი მთელი ღამის განმავლობაში ხედავდნენ სინათლეს ჩვენს გემზე. დღეს ნაშუადღევის სამ საათზე კრენკელმა ჩვენი თხოვნით დაანთო ცეცხლი, რომელიც, მიუხედავად ბურუსისა, ჩვენ გარკვევით დავინახეთ. შუადღისას ბანაკის კოორდინატები შემდეგი იყო: ჩრდილოეთის განედის 71 გრადუსი და 22 წუთი და დასავლეთის გრძედის 20 გრადუსი.

„ტაიმირის“ ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი.

„მურმანისა“ და „ჭაიმირის“ შეერთებული მოქმედებანი

ყინულმჭრელი „მურმანის“ კაპიტანმა ამხანაგმა კოტკოვმა გვაცნობა 14 თებერვალს შემდეგი:—დღეს 17 საათზე „მურმანის“ კოორდინატებია—ჩრდილოეთის განედის 71 გრადუსი და 22 წუთი და დასავლეთის გრძედის 19 გრადუსი და 45 წუთი. გემი მიზანთან ახლოსაა.

ვიწყებთ „ტაიმირთან“ ერთად შეერთებულ მოქმედებას. ვფიქრობ მივიდე პაპანინის ყინულთან.

გზა ჩრდილოეთისაკენ

„მურმანეცი“, 14 თებერვალი (რადიო). საყარაულო გემი „მურმანეცი“ იმყოფებოდა დღეს 12 საათზე განედის 69 გრადუსზე და 22 წუთზე და დასავლეთის გრძედის 20 გრადუსსა და 25 წუთზე. ქარი ნორდ-ოსტი, 5-6 ბალის ძალით.

16 იანვრიდან 12 თებერვლამდე როდესაც ვიკვლევდით ყინულის ნაპირს, ჩვენ ბევრი განვიცადეთ. ღია ზღვაში გადავიტანეთ რამოდენიმე ძლიერი ქარიშხალი. ჩვენი პატარა გემი იმდენად იძირებოდა წყალში, რომ მხოლოდ მისი ზედა ნაგებობანი მოსჩანდა. ამ ნაგებობებზე გამუდმებით გადადიოდა წყალი და ყინული.

განუწყვეტლივ მიმდინარეობდა საავარიო სამუშაოები. ხალხი მთელი დღეღამეობით მუშაობდა სველ ტანსაცმელში. მრავალი მიმოგზაურია გემით, მრავალ ხიფათს ვარ გამოვლილი, მაგრამ ასეთი საომარი რეისი ჯერ არ შემხვედრია.

„მურმანეცის“ კაპიტანი ულიანოვი.

(„პრავდა“).

საბჭოთა კავშირში

ფილმი სერგო ორჯონიკიძეზე

მოსკოვი, (საკადესი). „სოიუზკინოხრონიკის“ მოსკოვის სტუდია ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების წლისთავისათვის უშვებს სრულმეტრაჟიან მხატვრულ - დოკუმენტალურ ფილმს, რომელიც მიძღვნილია მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის, დიდი სტალინის მეგობრისა და თანამებრძოლის — სერგო ორჯონიკიძის ხსოვნისადმი.

ამხანაგი ორჯონიკიძე სტახანოველთა პირველი სრულიად - საკავშირო თათბირის ტრიბუნაზე. ეკრანიდან მოისმის მისი მგზნებარე სიტყვა. იგი ლაპარაკობს სტახანოვურ მოძრაობაზე, სოციალისტური ინდუსტრიის გამარჯვებებზე, მრეწველობის ახალი გიგანტების მშენებლობაზე.

ფილმი გვიჩვენებს ახალშენებებს, გიგანტურ ქარხნებს, ფაბრიკებს, მაღაროებს, რომლებიც შექმნილია სტალინური ხუთწლედების წლებში. მაყურებლის წინაშე გადაშლილია სოციალიზმის ინდუსტრიის გიგანტური პანორამა.

სერგოს სიცოცხლე სწყდება. ეკრანზეა ცნობები ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალების შესახებ.

ფილმი გვიჩვენებს ღირსსახსოვარ დღეებს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა გლოვობდა.

კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი. კვარცხლბეკზე ყვავილებში ჩაფლული დგას კუბო სერგო ორჯონიკიძის ცხედრით. საპატიო ყარაულში არიან ხალხთა ბელადი ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები, ნათესავები.

დაუსრულებელი ნაკადი მშრომელებისა, რომელნიც მოსულან, რათა უკანასკნელად პატივი სცენ მგზნებარე ბოლშევიკ-ლენინელს. მოდიან მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები, დირექტორები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა და ზრდიდა სერგო. მოდიან კოლმეურნეები, წითელარმიელები, მეთაურები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, მოწაფეები.

და ამ მომენტში ფილმი მოგვითხრობს ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის შესანიშნავ ცხოვრებასა და გმირულ ბრძოლას.

მაყურებლის წინაშე გადაშლილია ამხანაგ სერგოს ბიოგრაფია, აღბეჭდილი კინოდოკუმენტებში.

მაყურებელი ჰხედავს ცოცხალ სერგოს, ისმენს აფსკაზე ჩაწერილ ნაწყვეტებს მისი სიტყვებიდან, რომლებიც მან წარმოსთქვა საბჭოთა აზერბაიჯანის დელეგაციის მიღებაზე კრემლში სტალინური მარშრუტით გადაფრენის მონაწილეების ამხანაგების ჩკალოვის, ბაიდუკოვის და ბელიაკოვის შეხვედრისას, კავშირთა სახლში, გაზეთს „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.

ფილმი მთავრდება კადრებით, რომლებიც გვიჩვენებენ სტახანოველთა მიერ სოციალისტური ინდუსტრიის ყველა დარგში მიღწეულ ახალ გამარჯვებებს. მაყურებელი ხედავს ამხანაგ სერგოს მოწაფეებს, როცა ისინი იბრძვიან საბჭოთა მრეწველობის ახალ-ახალ წარმატებებისათვის, რომლის აყვავებასაც ასე ბევრი ძალღონე და რევოლუციური ენერგია მოახმარა ამხანაგმა სერგომ.

ფილმის ავტორ - რეჟისორები არიან ორდენოსნები ძიგავერტოვი და ი. ბლიოხი, ასისტენტები — ვ. სვილოვა და კ. კულაგინა. სადიქტორო ტექსტი ეკუთვნით გ. რიკლინს და რ. კაცმანს, სიმღერები ფილმისათვის დაწერილია ორდენოსანი პოეტის ლებედევ-კუმაჩის მიერ. მუსიკა და სიმღერები ეკუთვნის კომპოზიტორ დუნაევსკის. ტექსტებს კითხულობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. კაჩალოვი და მ. ლებედევი.

საბჭოთა პაგრიოტები

არხანგელსკი, 14 თებერვალი (საკადესი). საბჭოთა პატრიოტებმა— არხანგელსკის ოლქის როვდინსკის რაიონის გლეხის შვილებმა ძმებმა საფრონოვებმა,—ივანემ, ვასილმა, პავლემ, კონსტანტინემ და ალექსანდრემ—თავდაცვის სახალხო კომისარს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ვოროშილოვს მიმართეს განცხადებით, რომელშიც სთხოვენ ჩარიცხოს ისინი წითელი არმიის რიგებში.

ყველაზე უფროსი ძმა—ივანე—დაბადებული 1904 წელს, და უმცროსი—ალექსანდრე—დაბადებული 1918 წელს—მუშაობენ შინსახკომის ორგანოებში, ვასილი—დაბადებული 1907 წელს—ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშაა, პავლე—დაბადებული 1911 წელს—მოსკოვის საოლქო ბიოლოგიურ-საცდელი სადგურის მეცნიერი თანამშრომელია და კონსტანტინე — დაბადებული 1914 წელს—ოცეულის მეთაურია.

აცხადებენ რა, რომ ისინი ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულნი არიან, ძმები საფრონოვები სწერენ:

— ჩვენ ფხიზლად დავიცავთ ჩვენი სახელოვანი სამშობლოს საზღვრებს. მარჯვედ დავარტყამთ ყოველ მტერს, თუ იგი გაბედავს ხელი წაუპოტინოს ჩვენს ტერიტორიას.

ძმები სთხოვენ ამხანაგ ვოროშილოვს, ჩარიცხოს ისინი ერთ სატანკო ეკიპაჟში და პირობას იძლევიან, რომ ამ ეკიპაჟს მოწინავედ აქცევენ.

ქართული ხელოვნების გამოფენა ინახულა 160 ათასმა კაცმა

მოსკოვი, 14 თებერვალი (საკადესი). 17 თებერვალს სრულდება სამი თვე დღიდან საქართველოს სსრ ხელოვნების გამოფენის გახსნისა მოსკოვში. ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის დარბაზები, სადაც გაშლილია გამოფენა, ყოველ დღე სავსეა დამთვალიერებლებით, რომლებიც ეცნობიან ქართველი ხალხის შესანიშნავ ხელოვნებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოფენის ძირითადი ნაწილი—„საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“, სადაც მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში ასახულია ხალხთა უდიდესი ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრება და რევოლუციონური მოღვაწეობა.

ამ ხნის განმავლობაში, არასრული ცნობებით, საქართველოს სსრ ხელოვნების გამოფენა ინახულა დაახლოებით 160 ათასმა კაცმა.

პარტიულ თემაზე

სასჯიკად დავსაჯოთ ცილისმწამებელნი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“—გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციები გულდასმით იხილავენ.

რაიონის ყოფილი ხელმძღვანელები, ხალხის ამჟამად მხილებული მტრები, ბითუმად რიცხავდნენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან კომუნისტებს. გორის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ მოლარე-საქმისმწარმოებელი ამხ. ვარო მერაბიშვილი გარიცხა პარტიის წევრობის კანდიდატობიდან და საშუშაოდან მოხსნა იმისათვის, რომ ამხ. ვ. მერაბიშვილს მეზობლობა ჰქონდა ხალხის მტრის ოჯახთან. ეს საკმარისი გახდა ჯანმრთელობის განყოფილების პარტორგანიზაციისათვის, რომ მერაბიშვილი მოეწათლათ ხალხის მტრად და გაერიცხათ პარტიის წევრობის კანდიდატობიდან. ხოლო საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიუროს სხდომაზე რაიკომის ძველმა „ხელმძღვანელობამ“ ვიწმე მაჩხიძის მიერ შეთითხნილი ინფორმაციის საფუძველზე, მექანიკურად დაადასტურა პირველადი ორგანიზაციის არასწორი დადგენილება მერაბიშვილის პარტიიდან გარიცხვის შესახებ.

ქალაქის კოოპერატივის პარტორგანიზაციამ ბიბლიაშვილის ცილისმწამებლური განცხადების საფუძველზე პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხა და სამუშაოდან მოხსნა ტრანსპორტის გამგე ამხ. ანტონ ხორგუაშვილი. შემდეგ გამოირკვა, რომ ხორგუაშვილი სრულიად უდანაშაულო იყო. უკანასკნელად რაიკომმა გულდასმით განიხილა მისი საკითხი და აღადგინა პარტიაში და სამუშაოზე.

გიორგი აკოფოვის საკითხი არაკი განუხილავს პირველადს პარტორგანიზაციას, რაიკომის ყოფილმა „ხელმძღვანელებმა“, ხალხის ამჟამად მხილებულმა მტრებმა ილია ჯალალანიას ყალბი ინფორმაციის საფუძველზე თვითნებურად გარიცხეს ის საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან და მოხსნეს სამუშაოდან. ამხ. აკოფოვს დაუმსახურებლად მიაკერეს მავნებლის იარლიყი იმის გამო, რომ პარტორგმა ახალკაცმა ცილი დასწამა მას, თითქოს აკოფოვი მავნებელი იყო. საქმის საფუძვლიანმა შემოწმებამ დაადასტურა აკოფოვის უდანაშაულობა. საკ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიურომ აკოფოვი აღადგინა პარტიაში, ხოლო ახალკაცი, როგორც ცილისმწამებელი მოხსნა პარტორგანიზატორობიდან და დაადო მას პარტიული სასჯელი.

ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი, კომკავშირელი, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი ამხ. შანია ჩიხლაძე, რომელიც დელეგატად იყო საქ. ალკ გორის საარაონო კონფერენციაზე 1937 წლის 10 ავგისტოს, კომკავშირის რაიკომის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა კონფერენციიდან გააძევეს და კომკავშირიდან გარიცხეს, ხოლო შემდეგ ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ ის პარტიიდან გარიცხა. პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილება მექანიკურად დაადასტურა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა.

მ. ჩიხლაძე ხუთი თვის განმავლობაში უმუშევარი დადიოდა. საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ახალმა ხელმძღვანელობამ ჩიხლაძე აღადგინა როგორც პარტიის წევრობის კანდიდატის უფლებებში, ისე სამუშაოზე.

ვარიანის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი ამხ. ქიტა ადუაშვილი მოხსნილ იქნა საბჭოს თავმჯდომარეობიდან და გაირიცხა პარტიიდან იმის გამო, რომ ადუაშვილზე რაიკომში შეიტანეს ცილისმწამებლური განცხადება, ვითომ ის სოფ. ვარიანში მავნებლობდა. ვიღაც ბიუროკრატ კარიერისტის ხელით დაწერილი ცილისწამება დაადასტურა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ყოფილმა ინსტრუქტორმა კომუნისტ-კარიერისტმა ვაშაკიძემ და რაიკომს წარუდგინა ცნობა, ვითომ ადუაშვილი საბჭოს თავმჯდომარეობის დროს ხელფასს 40 მანეთით მეტს იღებდა, ვიდრე ხარჯთაღრიცხვით იყო დამტკიცებული. გარდა ამისა, ვითომ მან მიითვისა ხილის დამამზადებელ პუნქტიდან 386 მანეთი, გაანიავა საქიმო პუნქტის ხის მასალა, გააფუჭა 1.600 კილოგრამი კირი და სხვ.

აღნიშნული ბრალდებების გამო ადუაშვილი, დაჰპატიმრეს კიდეც. ხოლო სათანადო კვლევა-ძიების შემდეგ მისთვის წაყენებული ბრალდების არცერთი მუხლი არ დადასტურდა. ადუაშვილი გაანთავისუფლეს და ამჟამად იგი აღდგენილია პარტიის წევრის უფლებებში.

საბიროა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე ნამდვილად მოახდინოს მავნებლების—ხალხის მტრების მიერ პარტიიდან გარიცხული კომუნისტების საქმეების გულდასმით გადათვალიერება და დაიჩაროს უსაფუძვლოდ გარიცხულთა რეაბილიტაცია, მიიღოს გადამჭრელი ზომები ცილისმწამებლებისა და კარიერისტების წინააღმდეგ.

პ. გელაშვილი.
ძ. მგალობლიშვილი

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამუსიკო ინსტრუმენტების თბილისის ფაბრიკის პარტორგი ამხ. ნალიანი სასადილოდ შესვენების დროს მუშებს უკითხავს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას.
ფოტო შმელევისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

1938 წ. 23 თებერვალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეა — **ლენინის** და **სტალინის** მიერ შექმნილი, გამოჭედილი და აღზრდილი გმირული, სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წლისთავი.

მთელი საბჭოთა ხალხის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ბრძენი **სტალინის** მეცადინეობითა და ზრუნვით, ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს რკინისებური მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი, გახდა უძლეველ არმიად, რომელიც იცავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მშვიდობიან შრომას და, რომელსაც შეუძლიან დაიცვას საბჭოთა მიწა-წყლის ყოველი გოჯი ყოველგვარი თავდასხმისაგან.

ჩვიდმეტი წლის წინათ, 1921 წ. 25 თებერვალს, საქართველოს მშრომელებისა და წითელი არმიის შეერთებული ღონისძიებებით საქართველოში გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლუციამ და ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები —მენშევიკები — სამუდამოდ განდევნილ იქნენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით ჩვენში, საქართველოში, შეიქმნა ნაციონალური კადრები მეცნიერ-მუშაკებისა, რომელნიც გაიზარდნენ დიდ მეცნიერულ ძალად.

თუ ჯერ ჭიდევ არცთუ ისე დიდხნის წინათ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დასაწყისში, მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა ჩვენში რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა, ახლა ჩვენ გვყავს სამასზე მეტი პროფესორი, დაახლოვებით 700 დოცენტი და ათასამდე სხვა მეცნიერ-მუშაკი.

ჩვენ მოვუწოდებთ მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს, აგრეთვე საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს გამოეხმაურონ მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა 27 იანვრისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა 5 თებერვლის მიმართვებს, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ თავისი მჭიდრო კავშირი ჩვენს მშობლიურ წითელ არმიასთან და კიდევ უფრო გააძლიერონ თავისი სამხედრო-საშეფო მუშაობა.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას ვაწარმოოთ სისტემატური მუშაობა წითელ არმიაში და წითელ სამხედრო-საზღვაო ფლოტში მებრძოლებისა და მეთაურების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაუფლების საქმეში და ამისაკენ მოვუწოდებთ მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას მოვაწყოთ მეცნიერ-მუშაკთა ბრიგადები როგორც თბილისში, ისე რაიონებშიაც, წითელი არმიის ნაწილებში ლექციების წაკითხვის მიზნით.

სახელოვანი წლისთავის დღესასწაულის დღეებში ჩვენ გამოვთქვამთ მზადყოფნას მოვაწყოთ წითელი არმიის ნაწილებში მეცნიერებისა და ტექნიკის საღამოები, შემოქმედებითი ანგარიშებითა და ინფორმაციით ჩვენი მიღწევების შესახებ.

თავის მხრივ ვიწვევთ მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, მუზეუმებში, ლაბორატორიებში, სადაც ჩვენ შეგვეძლება კონკრეტულ მასალებზე გავაცნოთ ისინი ჩვენს მუშაობასთან, ჩვენს მიღწევებთან მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში.

წითელი არმია და ფლოტი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ.

არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეასუსტოს, შეარყიოს ურღვევი კავშირი ჩვენს უძლეველ, მძლავრ წითელ არმიასა და ხალხს შორის. ხალხის საზიზღარი მტრები, სამშობლოს გამცემლები, იაპონია-გერმანიის ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი აგენტები, რომელნიც ცდილობდნენ შეესუსტებინათ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი სიმძლავრე, ანგარიშში მოსტყუვდნენ.

ჩვენ, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკები, მზად ვართ საჭირო მომენტში ჩვენს უძლეველ წითელ არმიასთან ერთად დავიცვათ ჩვენი წითელი საზღვრები და გავანადგუროთ მტერი მისსავე ტერიტორიაზე.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ჩვენი სოციალისტური გამარჯვებების ორგანიზატორს, და მის დიად ბელადსა და მასწავლებელს, ბრძენ **სტალინს!**

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და მის რკინისებურ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს — კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვს!**

გაუმარჯოს ჩვენს ორდენოსან სოციალისტურ საქართველოს და მის სახელოვან ხელმძღვანელს ლავრენტი **ბერიას!**

პროფესორები:

ნ. ი. მუსხელიშვილი — უზენაესი საბჭოს დეპუტატი
ა. ი. ჯანელიძე — ორდენოსანი.
ი. ა. ჯავახიშვილი
ს. ნ. ჯანაშია
ა. გ. შანიძე
ა. ს. ჩიქოვანი
გ. ს. ახვლედიანი
ვ. ტ. თოფურია
ვ. მ. ბერიძე
გ. კ. ნიორაძე
ი. ს. ბერიტაშვილი
ბ. ს. კანდელაკი
მ. ზ. ნოდია
ვ. ზ. გულისაშვილი
ნ. ნ. კეცხოველი
დ. ი. სოსნოვსკი
შ. ა. ზაიცევი
ა. ა. სადოვსკი
ვ. დ. კუპრაძე
ლ. პ. გოკიელი
შ. ე. მიქელაძე
ე. ი. ბიუსი.

ს. ხოშტარია

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ა.-წ. 8 თებერვლის დადგენილება „1938 წლისათვის ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესახებ“ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმას. ეს გეგმა სავსებით შეეფარდება იმ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის.

საქართველოში ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა 1938 წლისათვის, ისევე, როგორც საკავშირო გეგმა, განსხვავდება წარსული წლების გეგმებისაგან. ეს ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველად წელს განისაზღვრება 1938 წლის უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საერთო მოცულობა; საგაზაფხულო თესვისა და საანეულო ხვნის გეგმასთან ერთად, 1938 წლის გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე საშემოდგომო თესვასა და მზრალად ხვნას.

ცხადია, ამ ღონისძიებას დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შემდგომი განმტკიცებისათვის. კოლმეურნეობებს შეუძლიანთ და მოვალენიც არიან ჯერ კიდევ წლის დასაწყისში თავისი საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის დროს გაითვალისწინონ 1938 წლის ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა პროცესი და უფრო ზუსტად დაგეგმონ თავიანთი მეურნეობა ყველა იმ რესურსის სრული გამოყენების გათვალისწინებით, რომელიც მათ აქვთ.

ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ასეთი დაგეგმვა პირდაპირი შედეგია იმ უდიდესი წარმატებებისა, რომლებსაც სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ მიაღწია.

1938 წლის ჩვენი გეგმის თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ თუ 1937 წლის ფაქტიურ ნათესებთან შედარებით მთლიანად საბჭოთა კავშირში საერთო სათესი ფართობის გადიდებასთან ერთად მცირდება მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი, ჩვენში, საქართველოში, სათეს ფართობთა საერთო გადიდებასთან ერთად სწარმოებს აგრეთვე მარცვლეულ კულტურათა ნათესების გადიდება.

მარცვლეულ კულტურათა ზრდის ასეთი თანამიმდევრობა შედეგია ამხანაგ ლ. ბერიას მიერ 1936 წლის აგვისტოში საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე მოცემული მითითებისა.

ამხანაგმა ლ. ბერიამ ამ პლენუმზე სთქვა:

„ამხანაგმა **სტალინმა** 1935 წლის დეკემბერში მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა ამოცანა—უახლოეს 3-4 წელს საბჭოთა კავშირში მივაღწიოთ 7—8 მილიარდი ფუთი პურის მოყვანას. ეს საქართველოს ბოლშევიკებს ავალებს მიიღონ ზომები მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი აღმავლობისათვის და ფართობის გადიდებისათვის. 1940 წლისათვის ჩვენ შეგვიძლიან და უნდა უზრუნველყოთ საქართველო თავისი საკუთარი პურით. ეს ამოცანა დიდია და ამასთან ერთად სავსებით განსახორციელებელი“.

ამ საბრძოლო დავალების განხორციელების მიზნით, 1938 წელს კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების საერთო სათესი ფართობი გეგმით გათვალისწინებულია 1.027.500 ჰექტარის რაოდენობით, ე. ი. 21.900 ჰექტარით მეტი, ვიდრე ფაქტიურად დათესილი იყო 1937 წელს. აქედან: მარცვლეულთა სათესი ფართობი 1938 წელს შეადგენს 889.800 ჰექტარს, ნაცვლად 1937 წლის ფაქტიური ნათესისა—876.000 ჰექტარისა.

მარცვლეული კულტურების ფართობების გადიდების დარგში დასახულ ამოცანათა მთლიანად შესრულებისათვის ჩვენ დაგვრჩენია 1939 წელს მარცვლეული კულტურების ფართობები გავადიდოთ კიდევ 10.200 ჰექტარით.

საერთო გეგმით გათვალისწინებული 1.027.500 ათასი ჰექტარიდან საგაზაფხულო კულტურათა თესვა 1938 წელს შეადგენს 720.400 ჰექტარს, აქედან საბჭოთა მეურნეობებისათვის—4.100 ჰექტარს, კოლმეურნეობებისათვის—492.400 ჰექტარს, კოლწევრებისათვის—94.400 ჰექტარს და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის—129.500 ჰექტარს.

წარსულ წელთან შედარებით საგაზაფხულო კულტურათა საერთო ფართობი იზრდება 11.700 ჰექტარით. საგაზაფხულო თესვის საერთო გეგმიდან მარცვლეულ კულტურებს ეძლევა 582.081 ჰექტარი, ანუ 1937 წლის ფაქტიურ ნათესთან შედარებით 2.200 ჰექტარით მეტი (წარსულ წელში საგაზაფხულო ნათესები შეადგენდა 579.900 ჰექტარს).

ცალკე კულტურების მიხედვით უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა ითვალისწინებს საგაზაფხულო ხორბლის ნათესის შემცირებას 9,3 ათასი ჰექტარით 1937 წლის ფაქტიურ ნათესთან შედარებით. საგაზაფხულო ხორბლის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთელი რიგი რაიონების პირობებში იგი იძლევა ბევრად ნაკლებ მოსავალს, ვიდრე საშემოდგომო ხორბალი; მაგალითად, ლუქსემბურგის რაიონში საგაზაფხულო ხორბლის საშუალო მოსავალი 1937 წელს შეადგენდა 7,1 ცენტნერს, მაშინ როდესაც საშემოდგომო ხორბლის საშუალო მოსავალი იყო 11,2 ცენტნ., კასპის რაიონში საგაზაფხულო ხორბლის საშუალო მოსავალი 1937 წელს იყო 8,6 ცენტნ., შემოდგომისა კი 11,1 ცენტნ. და სხვ.

საგაზაფხულო ხორბლის ეს შემცირება უკვე დაფარულია საშემოდგომო ხორბლის 1937 წლის ნათესების სიჭარბით (21.000 ჰექტარი).

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე სიმინდის ნათესების ზრდა. თუ 1937 წელს სიმინდის ფაქტიური ნათესები შეადგენდა 390,800 ჰექტარს, წელს გეგმით გათვალისწინებულია 402,700 ჰექტარი. ეს ზრდა აიხსნება მომავალ წელში სწორ თესლბრუნვაზე გადასვლისათვის პირობების მომზადების საჭიროებით.

ტექნიკური კულტურებისათვის დაგეგმილია 47.718 ჰექტარი ფართობი. ბამბისა და არახისის გამოკლებით, სხვა ტექნიკურ კულტურათა ნათესები რესპუბლიკაში დატოვებულია წარსული წლის დონეზე.

ბამბა წარსული წლის 4.000 ჰექტარიდან დაყვანილია 2.000 ჰექტარამდე. არახისის ნათესები წარსული წლის 2.500 ჰექტარის ნაცვლად გადიდებულია 4.000 ჰექტარამდე.

თამბაქოს ფართობები მთლიანად რესპუბლიკაში დატოვებულია წარსული წლის დონეზე, რამდენადმე შეცვლილია რაიონთა შორის განაწილება.

არახისის ფართობები შარშანდელთან შედარებით გადიდებულია 1500 ჰექტარით ნაწილობრივ იმით, რომ ეს კულტურა დანერგილია ახალ რაიონებში: ყარაიის რაიონში 300 ჰექტარზე, ბორჩალოსში—250-ზე, სამტრედიისაში 200-ზე და გეგეჭკორის რაიონში—100 ჰექტარზე. დანარჩენი ტექნიკური კულტურების (შაქრის ჭარხალი, პერილა, ლუფა) გეგმა რჩება გასული წლის დონეზე როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ცალკე რაიონებში.

მნიშვნელოვნად ფართოვდება ბოსტნეული კულტურების, კერძოდ კარტოფილის ნათესი. თუ 1937 წელს ბოსტნეული კულტურების ფართობები შეადგენდა 39000 ჰექტარს, 1938 წლისათვის დაგეგმილია 46.134 ჰექტარი, მათ შორის კარტოფილის ნათესი 21.400 ჰექტარიდან აყვანილი იქნება 23.100 ჰექტარამდე, ბოსტნეულისა—15.400 ჰექტარიდან 19.100 ჰექტარამდე.

ბოსტნეული კულტურების ნათესთა ასეთი ზრდა გამოწვეულია სამრეწველო ცენტრების გაზრდილ მოთხოვნათა უზრუნველყოფის, აგრეთვე საკონსერვო მრეწველობის ბოსტნეული ნედლეულით უზრუნველყოფის აუცილებლობით.

ჩვენს წინაშე დგას დიდი ამოცანა—უკვე 1938 წლიდან პრაქტიკულად განხორციელება სწორი თესლბრუნვების შემოღებისა და ბალახთესვითს თესლბრუნვაზე გადასვლის შესახებ.

ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა განვითარების პროცესში მყოფი სოციალისტური მეცხოველეობის საკვები რესურსებით უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

ამ მითითებათა განსახორციელებლად 1938 წლის გეგმით გათვალისწინებულია: ჯერ ერთი, საკვები ბალახების საერთო ფართობის ზრდა და, მეორე, ბალახების სათესლეების მნიშვნელოვნად გაფართოვება მომავალი წლების გასაფართოვებელ ნათესთა საკუთარი თესლით უზრუნველსაყოფად.

საკვები ბალახების დათესვა 1938 წელს, შარშან ფაქტიურად დათესილი 36.200 ჰექტარის ნაცვლად, დაგეგმილია 44.467 ჰექტარზე, აქედან ერთწლიანებისა — 32.244 ჰექტარზე, მრავალწლიანებისა — 6.717-ზე, ძირნაყოფებისა—2269-ზე და სასილოსედ—3.237 ჰექტარზე.

წარსულ წლებში დათესილი ბალახები გაითიბება 10.760 ჰექტარზე. კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების სათესლეები მოეწყობა 1000 ჰექტარზე. მრავალწლიანი ბალახები სათესლედ დაითესება 8.400 ჰექტარზე და წარსული წლების ნათესი მრავალწლიანი ბალახები სათესლედ დატოვებული იქნება 3000 ჰექტარზე.

ამ გეგმის შესრულება მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და კოლმეურნეობებში სწორი თესლბრუნვების ორგანიზაციის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მარცვლეულის საშემოდგომო დათესვა 1938 წელს დაგეგმილია 307.000 ჰექტარზე, 1937 წლის 297.000 ჰექტარის ნაცვლად. მზრალად ხვნის გეგმაა 300.000 ჰექტარი, ნაცვლად 1937 წლის გეგმით გათვალისწინებული 260.000 ჰექტარისა და ფაქტიურად შესრულებული 173.000 ჰექტარისა.

აი ზოგადად 1938 წლის ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა. ეს გეგმა დეტალურად დამუშავებულია მიწსახკომის მიერ რაიონული სამიწათმოქმედო ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

1938 წლისათვის მოსავლიანობის ციფრები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ ეფიქრობ, რომ 1938 წლის მოსავლის რესპუბლიკური გეგმა გაცილებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე 1937 წლის ფაქტიური მოსავალი იყო. ეს განისაზღვრება იმ ღონისძიებებითაც, რომლებიც გატარებულ იქნა 1937 წლის შემოდგომაზე და დასახულია 1938 წლის გაზაფხულისათვის. საშემოდგომო პურეული დათესილია გაწმენდილი კონდიციური სათესლე მასალით, ამასთან ჯიშიანი თესლით; მარტო სელექციური ჯიშიანი თესლით დათესილია 196.000 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი, ნაცვლად 1936 წლის 49.000 ჰექტარისა. საშემოდგომო თესვის კამპანია ძირითადად დამთავრებულ იქნა მთავრობისა და პარტიის მიერ დაწესებულ ვადებში.

1938 წლის გეგმით გათვალისწინებულია საშემოდგომო ჯეჯილის დაფარცხვის აუცილებლობა, ვინაიდან იგი ამაგრებს ფესვების სისტემას, ინახავს ტენს და ამით ადიდებს მოსავლიანობას 15—20 პროცენტით. ეს აგროტექნიკური ღონისძიება აუცილებლად უნდა გატარდეს და რაიონულმა ორგანიზაციებმა, მტს-ების დირექტორებმა და მიწგანებმა მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

საგაზაფხულო თესვის გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე ჯიშიანი და კონდიციური სათესლე მასალით თესვა.

როგორ ვემზადებით დასახული გეგმის შესრულებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის? საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებამდე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების მსვლელობაში დიდი ჩამორჩენა იყო. 5 იანვრისათვის ტრაქტორების რემონტის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 13 პროცენტით, თესლის შეგროვება შესრულებული არ იყო, თესლის გაწმენდა შესრულებული იყო მხოლოდ 25 პროც., ამ დროისათვის თითქმის დაწყებული არ იყო თესლის გადაცვლა კოლმეურნეობათა შორის, დაწყებული არ იყო ტრაქტორების მისაბმელი სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტი როგორც მტს-ებში, ისე საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მომზადების საქმეში მკვე

სასწავლო ნივთებით მომარაგება ჩაშალეს

ნ. ნიჟარაძე
აჭარის ასსრ განსახკომი

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წლის პირველი ნახევარი დამთავრდა, აჭარის სკოლები დღემდე მაინც არ არიან მომარაგებული საჭირო სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. არსებული წესის თანახმად, აჭარის სკოლების სასწავლო ნივთებით მომარაგება ევალება სახელგამის ქ. ბათუმისა და ქობულეთის განყოფილებებსა და აჭარკოოპკავშირს. ამ ორგანიზაციებს სკოლებისათვის საჭირო სასწავლო ნივთებზე დაკვეთა მიეცა ჯერ კიდევ 1937 წლის აპრილში იმ ვარაუდით, რომ პირველ სექტემბრისათვის სკოლები უზრუნველეყოთ საჭირო სასწავლო ნივთებით.

სასწავლო ნივთებით მოვაჭრე ორგანიზაციებმა თავი ვერ გაართვეს ამ ფრიად სერიოზულ საკითხს, მათ ვერ უზრუნველჰყვეს სასწავლო ნივთებით ვაჭრობის ისე მოწესრიგება, როგორც ამას მოითხოვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 14 სექტემბრის დადგენილება სასკოლო საწერი ნივთების შესახებ.

საქ. სახელგამმა, ცეკავშირმა და აჭარკოოპკავშირმა სრული უმოქმედობა გამოიჩინეს აჭარის სკოლებისათვის საჭირო დაკვეთების რეალიზაციის საქმეში. რით უნდა აიხსნას, თუ არა საქმისადმი უსულგულო და უყაირათო დამოკიდებულებით საქ. სახელგამისა და ცეკავშირის ის მოქმედება, რომ სახელგამის ბათუმის განყოფილებას ეგზავნება დაკვეთილ სახელმძღვანელოთა და სხვა სასწავლო ნივთთა ზოგჯერ 200 და მეტი პროცენტი იმ დროს, როდესაც აჭარკოოპკავშირს, რომელიც ამარაგებს აჭარის სკოლების მთელ სარაიონო ქსელს, ხშირ შემთხვევაში დაკვეთის 50 პროცენტი ეგზავნება.

სავაჭრო ორგანიზაციებში მომუშავე ზოგიერთი ხელმძღვანელი არასწორად ჰგზავნის სახელმძღვანელოებს. ასე, მაგალითად, რუსული ენის მე-4 კლასის სახელმძღვანელო სახელგამის ბათუმის განყოფილებას დაკვეთილი ჰქონდა 704 ცალი, ხოლო აჭარკოოპკავშირს 2.424. საქ. სახელგამმა პირველს გაუგზავნა 1.500 ცალი, ხოლო ცეკავშირმა მეორეს 145 ცალი. იგივე სახელმძღვანელო მე-5 კლასისათვის სახელგამმა მიიღო ნაცვლად დაკვეთილი 688 ცალისა — 1550, ხოლო აჭარკოოპკავშირმა ნაცვლად 1357 ცალისა — 600 ცალი.

ცეკავშირის მიერ არადანიშნულებისამებრ წიგნების გადმოგზავნას აჭარკოოპკავშირიც „შესაბამის პასუხს აძლევს". მიღებულ წიგნებს ჰგზავნის თავის სავაჭრო წერტებში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნულ წერტებში ამ წიგნების მოთხოვნილება. ამის შედეგად არასრული საშუალო სკოლების წიგნები გადაიგზავნა ისეთ ადგილებზე, სადაც ასეთი სკოლები არ არის, ხოლო საშუალო სკოლების სახელმძღვანელოები იქ, სადაც საშუალო სკოლის სახელმძღვანელო საჭირო არ იყო. მაგალითად, სხალთის სასოფლო საბჭოში გადაგზავნილ იქნა არასრული საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები იმ დროს, როდესაც ამ სოფელში ასეთი სკოლა არ არის გახსნილი. აჭარისწყლის სავაჭრო მაღაზიაში მოიტანეს მე-10 კლასის სახელმძღვანელო მაშინ, როდესაც აჭარისწყალზე საშუალო სკოლა მხოლოდ წელს გაიხსნა და ისიც მე-8 კლასით.

არადამაკმაყოფილებელია აჭარკოოპკავშირის სისტემის ზოგიერთი მომუშავის კვალიფიკაცია და დამოკიდებულება წიგნით ვაჭრობის საქმისადმი. ამის გამო ძირეულ წერტებში ხშირად ადგილი აქვს საქმის არევდარევას. ზოგიერთი მომუშავე სრულებით არ არის დაინტერესებული სასკოლო საქმით. ხშირად წიგნებს თვითნებურად უკანვე აბრუნებენ იმ დროს, როდესაც სკოლები მათ საჭიროებენ. ვერ არჩევენ სახელმძღვანელოებს კლასების მიხედვით.

დიდი ხანია, რაც ცეკავშირმა სახელმძღვანელოები უკანვე დაიბრუნა სათანადო შესწორებისათვის, მაგრამ დღემდე არც შესწორებული წიგნი სჩანს და არც სხვა სამაგიერო.

ამის გამო მთელ რიგ სოფლის სკოლებს საჭირო რაოდენობით არა აქვთ სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ნივთები, რაც აფერხებს სასკოლო მუშაობის წარმატებას.

მეტად ცუდი მდგომარეობაა ისტორიის სახელმძღვანელოთი მომარაგების მხრივ. იმ დროს, როდესაც აჭარის სკოლებს სჭირდება ისტორიის 6 ათასამდე ცალი სახელმძღვანელო, დღემდე ცეკავშირს ქართულ ენაზე ისტორიის არცერთი ცალი სახელმძღვანელო არ გადმოუგზავნია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რუსულ ენაზე მიღებულ 200 ცალ წიგნს.

სკოლებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ რვეულები. ხელი ეშლება სუფთა წერის გაკვეთილის ხარისხოვნად ჩატარებას, რადგან მტკიცედ არ არის გატარებული სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 14 სექტემბრის დადგენილება, სადაც მითითებულია — „...აუცილებლად გამოუშვან დახაზული რვეულები, არა მარტო ერთხაზიანი, არამედ ორხაზიანი, ბადიანი, დახრილხაზიანი და უჯრედებიანი". ჩვენი სკოლების უმეტესობა მოკლებულია აღნიშნული სახის რვეულების საჭირო რაოდენობას. სასწავლო ნივთებით მოვაჭრე ორგანიზაციები ამისათვის ნაკლებად ზრუნავენ.

ასეთივე მდგომარეობაა სასწავლო რუკებით სკოლების მომარაგების მხრივაც. არასაკმაო რაოდენობით არის სხვა სასწავლო ნივთებიც. სახელდობრ — სახატავი რვეულები, საერთო რვეულები, სამელნეები და სხვ.

სახელმძღვანელო წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების მომარაგების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფი ლიკვიდაცია ერთერთი პირობაა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხის მისაღწევად. ეს უნდა შეიგნონ სახელგამმა და ცეკავშირმა და ბოლო მოუღონ ასეთ უპასუხისმგებლობას.

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

ბრუკსკაიას სახელოგის კოლმეურნეობა სანიმუშოდ ემზადება

ყარაია, 10 თებერვალი. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეტად აქიანურებენ მზადებას საგაზაფხულო თესვისათვის.

ბევრი კოლმეურნეობა ჩამორჩენია სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტის საქმეში. მაგალითად, სოფ. თაზა-ქენდის კოლმეურნეობა „სოციალიზმში" 5 გუთანიდან შეკეთებულია მხოლოდ 2, ხუთი სათესი მანქანიდან — სამი, 6 კულტივატორიდან — ოთხი. 20 ფარცხი დღემდე არაა გადაგზავნილი სარემონტოდ.

გაჟიანურდა კოლმეურნეობაში თესლის გადაცვლა. კოლმეურნეობის გამგეობა არაერთარ ზომებს არ ღებულობს სათესლე კარტოფილის შესაძენად.

სოფ. ვასილევკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტი უკვე დამთავრებულია. მაგრამ კოლმეურნეობა დღემდე ჩამორჩენია სათესლე ფონდის შენახვისა და შენახული თესლის შემოწმების საქმეში. დღემდე არაა შემოწმებული საბოსტნე კულტურების 37 კილოგრამი თესლისა და 4 ტონა სათესლე კარტოფილის გაღივების უნარი.

კარგად მოემზადა თესვისათვის სოფ. ტატიანოვკის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობა, სადაც უკვე დამთავრებულია თესლის შემოწმება, შენახვა და შეწამლვა. მთავრდება სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტი. კოლმეურნეობაში კარგადაა დაყენებული ეუშა-პირუტყვის მოვლა. პირუტყვს გაძლიერებულად კვებავენ. კოლმეურნეობის ყველა 15 ცხენი ღებულობს ყოველდღიურად, გარდა უნეში საკვებისა სამ-სამ კილოგრამ სიმინდს. ხარებიც კოლმეურნეობას მსუქნად ჰყავს.

საუკეთესოდ გამოვაზამთრებინოთ ციტრუსები

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ციტრუსთა საზამთრო სამუშაოებს შემოდგომაზე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი და ციტრუსთა გამოზამთრებისათვის საჭირო ყველა სამუშაო პირველ იანვრისათვის შეასრულეს.

წელს რაიონში დაბინავებულია 48.303 ძირი ციტრუსის ნერგი (გეგმის 100 პროც.). აქედან კოლმეურნეობებშ — 3.172 ძირი, საბჭოთა მეურნეობებში — 24.227 ძირი და სხვ. ციტრუსთა პლანტაციების ყინვისაგან დაცვის მიზნით მომარაგებულია ასაბოლებელი მასალები. გარდა ამისა, სათბურები და ფარდულები ყველგან უზრუნველყოფილია სათბობით. ამჟამად ფოთში ჰაერის ტემპერატურა დღისით აღწევს დაახლოებით პლუს 15-16 გრადუსს, ღამით — პლუს 10-12-ს. მიუხედავათ ასეთი ხელსაყრელი ამინდისა, ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობებში (უბნებში) დაწესებულია ღამის მორიგეობა, რათა ტემპერატურის დაცემის შემთხვევაში მიღებულ იქნას საჭირო ზომები პლანტაციებში, სათბურებსა და ფარდულებში ნორმალური ტემპერატურის დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები ციტრუსებისათვის ნორმალური ტემპერატურის დაცვას ჯერ კიდევ არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას. დაბალი ტემპერატურის დროს შეფუთულ ნარგავს უხურავენ კარს (ჰაერისა და სინათლისათვის დატოვებულ ადგილს), მაგრამ ტემპერატურის აწევის შემთხვევაში ავიწყდებათ კარების გახსნა, რაც საგრძნობლად აზიანებს ციტრუსის ნერგს და იწვევს ფოთლების დაცვენას.

როგორც რაომიწგანს, ისე ყველა იმ დაწესებულება - ორგანიზაციას, რომელთაც ციტრუსთა ნარგავების კეთილდღეობა აბარიათ, ევალებათ იმუშაონ მეტი პასუხისმგებლობით და მონდომებით, რათა ყინვისაგან არ დაზიანდეს არცერთი პლანტაცია, ციტრუსის არცერთი ხე.

ზ. მელიქია



ლაგოდეხის კოლმეურნეობა „8 მარტში" საგაზაფხულო თესვისათვის სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): კოლმეურნეობის წევრები მეედლები ჯანიაშვილი და მერიაშვილი რემონტს უკეთებენ ფარცხს.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გაჩდაგმეხა აჩ მომხდარა

წულუკიძის რაიონის სოფელ ჯიხაისის კოლმეურნეობა „ლენინის გზითს" და ეკოვის სახელობის კოლმეურნეობას მძრალად ხვნის გეგმა შესრულებული აქვთ. იარაღმანქანების რემონტი ჩაატარეს, მაგრამ სათესლე სიმინდი ჯერ არ შეუწამლიათ და არც ლაბორატორიაში შეუმოწმებიათ. სათესი მანქანებით კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან. ეკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ხვნის ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი, საწყობების ახლო მდებარე ფართობი მოხნულია 8 სანტიმეტრის სიღრმეზე, რაც ყოვლად დაუშვებელია. კოლმეურნეობა „ლენინის გზითს" ჰყავს ხუთი უღელი დასუსტებული ხარი, რომელსაც ესაჭიროება გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა.

არხების გაწმენდის გეგმა კოლმეურნეობა „ლენინის გზითს" შესრულებული აქვს 22 პროცენტით. ხოლო ეკოვის სახელობის კოლმეურნეობას — 40-ით. მტს კოლმეურნეობას სუსტად ეხმარება, მან კოლმეურნეობა „ლენინის გზითს" ნაცვლად 40-ისა 24 ჰექტარი მოუხნა.

კოლმეურნეობა „ლენინის გზითში" გამოვლინებული არ არიან ახალგაზრდა სტახანოველები. 270 კაციდან მხოლოდ სამია სტახანოველი, ხოლო ეკოვის სახელობის კოლმეურნეობაში 100 ახალგაზრდა კოლმეურნიდან მხოლოდ ორია სტახანოველი. სოცშეჯიბრება მხოლოდ ქაღალდზეა. კოლმეურნეობა „ლენინის გზითს" შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს სოფელ ივანდიდის კოროვის სახელობის კოლმეურნეობა, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან დღემდე არაფითარი პასუხი არ მიუღია.

ა. ლომიძე
დ. კაკაბაძე

უღარღელები ჩხოროწყუს საბჭოთა მეურნეობიდან

ჩხოროწყუ. გაზაფხულის მოახლოება ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს ჯერ არ უგვრძნიათ. აქ ტრაქტორების, ავტომობილების და გუთნების რემონტი დღემდე არ დაუწყიათ. მეურნეობას არა აქვს მანქანა-ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები და საწვავი მასალა. მეურნეობის დირექცია ამ მდგომარეობას გულხელდაკრეფილი შეჰყურებს.

კ. დგებუაძე.

დამკვრელურად მუშაობენ

გეგეჭკორი. სოფელ კიწიის კოლმეურნეობა „დამკვრელი" უკვე მზად არის საგაზაფხულო თესვისათვის. 48 მუშა-საქონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად ვადაზე შეკეთებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანა - იარაღები. თესლი გადარჩეულია და ინახება სუფთად. ახლა დიდი მუშაობა სწარმოებს ახალი ნიადაგის ათვისებისათვის.

კ. ხაინდრავა.

შეჯიბრება დაიწყეს

გეგეჭკორი. სოფელ ონოღიის კოლმეურნეობამ გაზაფხულზე 353 ჰექტარზე სიმინდი უნდა დათესოს, ხოლო 267 ჰექტარზე სოია, ლობიო და სხვა კულტურები. 170 ცენტნერი სიმინდის თესლი არ ვაუწმენდიათ. დღემდე არ არის დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება. სოციალისტური შეჯიბრება დაიგოწყეს. კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები არ ზრუნავენ შეჯიბრების გაშლისათვის.

კ. ჭყონია.

სოლომონ თავაძე

ხუთქიმიანი ვარსკვლავები

ვარსკვლავებო, იკაშკაშეთ
და აანთეთ სხივით თვალი!
მიმოჰფინეთ ჩვენს დიდ გზაზე
გამარჯვების ძალთა ძალი!

თქვენ გაბრწყინდით, როცა ირგვლივ ღამე იყო ბნელი,
ნორჩ სიცოცხლის ელვარებით დასწვთ შავი ქსელი!
თქვენი დროშა ელვას ჰგავდა, მაღლით გადმოფენილს,
მისი შუქი, რწმენით სავსე, გარს ეხვია ლენინს!
სანგრებიდან, ქარხნებიდან, ქოხებიდან მოდის
თქვენი რაზმი გულნათელი უძლეველის გრძნობით!
ჩვილ ბავშვივით ნორჩი იყო თქვენი პირმშო მაშინ,
მაინც ძლევის ჰანგი ყღერდა მის სანატრელ ხმაში!
და ამაოდ მოდიოდნენ მუქარით და რისხვით,
თქვენ გაჰფანტეთ მტრების ურდო ასჯერ მეტი რიცხვით!
დღეს სამშობლოს ვრცელ ჯეჯილებს დილის ცვარი ნამავს
და ვარსკვლავი აციმციმებს საზღვრის ყოველ საბანს!

იკაშკაშეთ, ვარსკვლავებო!
მფრინავებო, ზეაფრინდით!
ჩვენი ქვეყნის ნარგავებო,
აყვავდით და აბიბინდით!

გადალმაც კი, სადაც მტარვალს სულში უზის მგელი,
სადაც რიეტაჟს ემუქრება სისხლიანი ხელი,
სადაც ნათელ სწრაფვას ჰკლავენ, სადაც ხალხი გმინავს, —
ვარსკვლავებო, თქვენი სხივი იქაც ყღერს და ბრწყინავს!
ბრძოლის ველზე... სარდაფებში.... ყველგან, სადაც ბნელა,
ვარსკვლავებო, თქვენი სხივი საიმედოდ ელავს!
სასოებით მოელიან, — იქაც ჟამი დაჰკრავს,
აღსდგებიან და აღმართვენ მტრის შემმუსვრელ ლახვარს!

ვარსკვლავებო, ვარსკვლავებო!
გადაჰბუგეთ რიდე მტრული!
ძლევა ჰპოვოს! არ ჩაეგოს
ხმალი ელვებრ შემართული!

დედამიწის ყოველ მხარეს თქვენ ძმობის შუქს აფენთ,
ცისკრის ვარსკვლავს მოუქარგავს დროშა მოკიაფე;
დაე ყველა მზეს შეეტკბოს შემომქმედი შრომით,
იყოს გმირთა შეჯიბრება... ჩვენ არა გვსურს ომი!
მაგრამ მტერმა, სულში რომ ჰყავს ცოფიანი მგელი,
თუ გაჰბედა და აღმართა სისხლიანი ხელი,—
მაშინ ნახონ ვარსკვლავების ცეცხლოვანი გზნება,
ზღვიდან ზღვამდის გადიქროლოს მოელვარე ფრთებმა!
ტალღა ტალღას შეენარცხოს ოცჯერ მეტის ძალით
და მსოფლიოს შემოენთოს განახლების ალი!

ვარსკვლავებო, იელვარეთ
და აუნთეთ გული გმირსა!
იკაშკაშეთ შინ და გარეთ
იმედად და ძლევად მტრისად!
ვარსკვლავებო, სხივგაშლილო,
გაარღვიეთ ვრცელი რკალი!
გაუმარჯოს ვოროშილოვს!
დღეგრძელობა ჩვენს ღვიძლ სტალინს!

გუმბრინელებმა ჩამორჩენა უნდა გამოასწორონ

ქუთაისი, 11 თებერვალი (საქ. ფსი). გუმბრინის კარიერებმა მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანას უნდა მისცენ 88.000 ტონა გუმბრინი. იანვრის განმავლობაში ამოღებული უნდა ყოფილიყო 4.000 ტონა, მაგრამ ეს დავალება გუმბრინის მუშაკებმა ვერ შეასრულეს. მათ ამოიღეს მხოლოდ 3.225 ტონა გუმბრინი, გეგმის 80,6 პროცენტი. ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ გუმბრინის ხელმძღვანელებმა მთელი ყურადღება იანვარში გადაიტანეს ფუჭი ქანის მოხდის სამუშაოებზე და მუშახელის დიდი უმრავლესობა ამ სამუშაოებზე იყო დაბახდებული.

თებერვლის პირველ დღეებიდანვე ფართოდ გაიშალა მუშაობა თებერვლის დავალების შესასრულებლად და იანვრის დანაკლისის დასაფარავად. თებერვალში გეგმით ამოღებულ უნდა იქნას 6.000 ტონა გუმბრინი, ამას მიემატება იანვრის დანაკლისი — 775 ტონა, ამრიგად თებერვალში ამოღებულ უნდა იქნას 6.775 ტონა. გუმბრინელები სიტყვას იძლევიან, რომ დავალებას შეასრულებენ 25 თებერვლისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლისთავისათვის.

7 თებერვალს ექსპლოატაციაში შევიდა გუმბრინის ახალი მძლავრი კარიერი, რაც დიდად შეუწყობს ხელს გეგმის შესრულებას.

მეორე კვარტალში ამუშავდება მექანიზებული წისქვილი და შესაძლებელი შეიქმნება გუმბრინის დაფქვა ადგილობრივ. წელს დაიფქვება სულ 10.000 ტონა გუმბრინი.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ცაგერის რაიონში ბევრად გაუმჯობესდა. ნაცვლად 2-3 ექიმისა, რაიონის სამკურნალო დაწესებულებებში ახლა 16 ექიმი მუშაობს.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მშრომელთა სამკურნალო მომსახურების მხრივ აქ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ (გამგე ექ. დ. გოგიძე) 1937 წლის აგვისტოში მორიგი შვებულება მისცა ქირურგ გ. გამცემლიძეს, რომელიც, ცხადია, კვლავ ცაგერის რაიონში უნდა დაბრუნებულიყო. მიუხედავად რაიონული ორგანიზაციების კატეგორიული წინააღმდეგობისა, საქ. ჯანსახკომის სამკურნალო სამმართველოს ყოფილმა „ხელმძღვანელობამ" ქირურგი გამცემლიძე სხვა რაიონში გაგზავნა სამუშაოდ. მას შემდეგ ცაგერის რაიონს ექიმი-ქირურგი არა ჰყავს.

ორი წელია რაიონს არა ჰყავს აგრეთვე ვენეროლოგი, არ მუშაობს კბილის საპროტეზო ლაბორატორიაც კბილის ექიმებისა და ტექნიკოსების უყოლობის გამო. ერთი წლის წინათ ცაგერის ცენტრალურ საავადმყოფოში რენტგენის აპარატი მოაწყეს. რაიონის მოსახლეობა ამას სიხარულით შეხვდა, მაგრამ... საქართველოს ჯანსახკომს რატომღაც დააივწყდა, რომ რენტგენის აპარატის გამოსაყენებლად საჭირო იყო სათანადო სპეციალისტი ექიმის გამოგზავნა.

ცაგერის რაიონს დიდიხანია არა ჰყავს მკურნალობის მთელი რიგი დარგების სპეციალისტი ექიმები.

იქნებ საქ. ჯანსახკომის ხელმძღვანელებმა არაფერი იციან ამ ფაქტების შესახებ? როგორ არა, იციან, ძალიან კარგადაც, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებენ რაიონის უზრუნველყოფისათვის საექიმო კადრებით.

არადამაკმაყოფილებელია ჯანსახკომის ცოცხალი ხელმძღვანელობა და დახმარება რაიონის საექიმო სამკურნალო დაწესებულებების მიმართ. 1937 წლის ზამთარში ცაგერი ინახულა საქ. ჯანსახკომის უფროსმა ეპიდემიოლოგმა. მან საკუთარი თვალით ნახა რომ ცაგერის საავადმყოფოში ორი წელია სრულიად უქმად დგას დეზკამერა, რომელსაც აწყობა ესაჭიროება. იგი საავადმყოფოს ადმინისტრაციას შეჰპირდა დეზკამერის ამწყობი სპეციალისტის მოვლინებას თბილისიდან, მაგრამ, თურმე, მხოლოდ შეჰპირდა!..

ასეთი დაპირება საქ. ჯანსახკომიდან იშვიათი როდია. მაგალითად, საექიმო კადრებით რაიონის უზრუნველყოფაზე უკვე რამდენიმე წელია დაპირებას იძლევიან. დაპირებას იძლევა თვითონ სახალხო კომისარი ამბ. თოდაძეც, მაგრამ მარტო დაპირება საქმეს არ შველის.

გ. ყურაშვილი

მაგარებელი იგვიანებს

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ხაშური-ბორჯომ-ბაღის ხაზზე მატარებელი სისტემატურად იგვიანებს. მთელი ზამთრის განმავლობაში ვაგონებს არ ათბობენ, რაც მგზავრების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მგზავრების შეკითხვაზე — რატომ არ ახურებთ ღუმელებსო, — კონდუქტორები უპასუხისმგებლოდ აცხადებენ — „ღუმელები უვარგისია და რა ჩვენი ბრალიაო".

ბორჯომის სადგურის მორიგე კაკაბაძე ხაშურიდან ისედაც დაგვიანებით მოსულ მატარებელს ყოველთვის თითქმის 30 წუთით აგვიანებს.

ამ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება.

გრ. ლომიძე.

ვ. ნიკიტინი

პერეკოპის ბრძოლის პანორამა

გამოფენაზე „წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის XX წელი" წარმოდგენილი იქნება მაკეტები პანორამებისა და დიორამებისა, რომლებიც მიძღვნილია წითელი არმიის მიერ თეთრგვარდიელთა უკანასკნელი დასაყრდენის — პერეკოპის გმირული ციხისადმი.

ჩვენს გარშემო სწარმოებს წითელი არმიის გაფთრებული ბრძოლა გენერალ ვრანგელის ოფიცერთა რჩეულ ნაწილებთან ვრანგელის ერთერთი ყველაზე გამაგრებული პოზიციისათვის — თურქთა გალავნისათვის.

გალავნის ჩრდილოეთით მოსჩანს ქალაქ პერეკოპის ნანგრევები: ცეცხლმოკიდებული შენობები, საპყრობილე, პერეკოპის ეკლესიის სამრეკლო. წითელი არმია უტეკს გაშლილ ველზე, ჩრდილოეთიდან, ქალაქ პერეკოპიდან. თხრილისაკენ და თვით თურქთა გალავნისაკენ მიმავალ გზაზე მას უხდება მეელი რიგი მავთულხლართების, არტილერიისა და ტყვიამფრქვევების მძაფრი ცეცხლის გადალახვა. ბრძოლა სწარმოებს ქალაქ პერეკოპის რაიონში, პერეკოპ-არმიანსკის შარაგზის მიმართულებით.

აი წითელარმიელთა ნაწილები უკვე ზედ გალავანზე სჭრიან და ჰგლეჯენ მავთულს, გადადიან ხელჩართულ ბრძოლაზე. გალავანი გადაჭიმულია პერეკოპის უბიდან სივაშის უზარმაზარ ტბამდე. მის მარცხნივ თურქთა ძველი გალავნის ეზოა, რომელიც ვრანგელის არმიის უახლოეს ზურგს წარმოადგენს. ამ ადგილის მახლობლად დგას მოწინააღმდეგის არტილერია. პირდაპირ, გალავნის თხემზე გაყოლებულია სანგრები რომლებშიც ოვითეული 5-10 მეტრის დაშორებით მოწინააღმდეგეს გაუკეთებია ტყვიამფრქვევის ბუდეები.

ჩვენ ვხედავთ თურქთა გალავნის უკანასკნელი იერიშის მომენტს. ჩვენ, მომავალი გრანდიოზული პანორამის „პერეკოპის იერიშის" მაყურებლები, გატაცებული ვართ ჩვენ წინაშე გადაშლილი ბრძოლით. ჯერჯერობით ეს მომავალი პანორამის მხოლოდ მაკეტია, რომელიც მისი ნატურალური სიდიდის ერთ მეხუთედს წარმოადგენს. მაგრამ მაკეტის სიმაღლე აღწევს 4 მეტრს, წრის სიგრძე—30 მეტრს. თვით პანორამის სიმაღლე კი იქნება 18 მეტრი, ხოლო წრის სიგრძე—150 მეტრი.

პანორამაზე „თურქთა გალავნის აღება" მუშაობენ მხატვრები გ. კ. სავიცკი, ნ. პ. ხრისტენკო და ვ. პ. ეფანოვი. გარდა პანორამისა „თურქთა გალავნის აღება", პანორამაში „პერეკოპის იერიში" შედის კიდევ 4 დიორამა, რომლებიც ასახავენ ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ოთხ უმთავრეს ეპიზოდს.

ჩვენს წინაა პირველი დიორამა — „პირველი ცხენოსანი არმიის ბრძოლა სოფელ ოტრადაში". კაშკაშა მზე აშუქებს ბრძოლის საერთო სურათს და სოფელ ოტრადას, საიდანაც იერიშზე მოდის წითელი არმია. ბრძოლის შუაგულში თეთრ ლაქად მოსჩანს ეკლესია. სოფელი მარჯვნითაა. მარცხნივ ქარის ორი დიდი წისქვილია. ბრძოლა სოფელ ოტრადაში სწარმოებს პერეკოპის ჩრდილოეთით, იგი წინ უსწრებს განთქმულ ბრძოლას თურქთა გალავნის აღებისათვის. ამ დიორამაში მხატვრებმა პ. პ. სოკოლოვსკალამ და მ. მ. სოლოვიოვმა გვიჩვენეს ამბ. ვოროშილოვისა და ამხ. ბუდიონის მონაწილეობა ბრძოლაში. აი მარცხნივ კრამიტით დახურულ პატარა თეთრ სახლებთან მაღალ თაფლა ცხენზე მჯდომ ამხ. ვოროშილოვს, შიშველი ხმლით ხელში, ბრძოლაში მიჰყავს ცხენოსანი გაერთიანება. მარჯვნივ, ეკლესიისაგან დაშორებით, მიდის მხედართა ჯგუფი. მათ მეთაურობს მოშავო ცხენზე მჯდომი ამხ. ბუდიონი. იგი რაღაცას ეკითხება გზაზე მდგომ წითელარმიელებს.

მეორე დიორამა „ფრუნზე სივაშზე" — გვიჩვენებს სივაშზე წითელი არმიის ნაწილების ფონით გასვლის მომენტს.

ღამეა. მდინარის მხრიდან სქელი ნისლი მოედინება. მარჯვნივ მაღალ ნაპირზე სოფელი სტროგანოვკაა. ფრიალო ნაპირზე მოსჩანს ფიგურა ამხ. ფრუნზესი, რომელიც თვალს ადევნებს გადასვლას. შორს მოსჩანს ლიტვის ნახევარკუნძულის სახლებიდან ამომავალი კვამლი. მარჯვნივ ჯებირია. საქმე იმაშია, რომ ამხ. ფრუნზემ ისარგებლა ნისლიანი ამინდით და ხელშემწყობი ქარით, რომლის წყალობით სივაშზე წყალი უკუიქცა, და დაიწყო შეტევა. მდინარეზე გადასვლის დროს ქარმა უცებ პირი იბრუნა და წყალს ყოველ წუთს შეეძლო წაელეკნა ჯარის ნაწილები. ამხ. ფრუნზეს ინიციატივით მესანგრე ნაწილებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყეს ჯებირის აშენება იმ მასალით, რაც კი ხელთ ჰქონდათ. წალეკვა შესწყდა და წითელი არმია მშვიდობიანად გადავიდა მდინარეზე თეთრების ზურგში. დიორამას „ფრუნზე სივაშზე" ხატავენ მხატვრები ბ. ვ. იოგანსონი და ვ. ვ. კრაინევი.

მეტისმეტად საინტერესოა მესამე დიორამაც — „ბრძოლა ჩონგარის ხიდთან", რომელსაც ჰქმნიან მხატვრები გ. ვ. გორელოვი და ა. ე. კულიკოვი. ბრძოლა ჩონგარის ხიდთან სწარმოებს ქალაქ პერეკოპიდან აღმოსავლეთით 170 კილომეტრის დაშორებით. ჩვენ ვხედავთ წითელი არმიის ნაწილების გადასვლას სივაშზე ჩონგარის ხიდით, რომლის აღდგენაც სახელდახელოდ სწარმოებს. ხიდის შესაკეთებლად ხმარობენ ძველ შემომწვარ ხიმინჯებს. გადასვლა სწარმოებს აგრეთვე ადგილობრივ მოსახლეობაში მობილიზებული ნავებითაც. ვრანგელის არტილერია უშენს ყუმბარებს და ხელს უშლის წითელი არმიის გადასვლას, მაგრამ უკანასკნელი შეუპოვრად განაგრძობს გადასვლას. მისი ცალკეული ნაწილები უკვე მეორე ნაპირზე იწყებენ ბრძოლას.

მეოთხე დიორამაა „ბრძოლა იუშუნთან და თეთრების გაქცევა".

ბრძოლა სწარმოებს სოფელ იუშუნის რაიონში. მარცხნივ ეკატერინეს ეპოქის საფოსტო სადგურის თეთრი ერთსართულიანი შენობაა. აქ ამ ცოტა ხნის წინათ მოთავსებული იყო ვრანგელის არმიის შტაბი, ახლა უკვე წითელი არმიის შტაბია. სახლის წინ, ავტომობილში მდგომი ამხ. ბლიუხერი იღებს ნაწილების უფროსების მიერ გამოგზავნილ ცნობებს. ავტომობილს უახლოვდება ტყვე ოფიცერთა ჯგუფი. შტაბის ეზოში დაჭრილები არიან. აქვე თივის დიდი ზვინიდან წითელარმიელები უკანდახეულ მოწინააღმდეგეს უშენენ თოფებსა და ტყვიამფრქვევებს. პირდაპირ იერიშით მოდის ლატიშთა მსროლელი დივიზია, ცოტა მარჯვნივ ჯანკოი - არმიანსკის რკინიგზის ხაზის ცეცხლმოკიდებული, დანგრეული ვაგონებია. ხაზი ნაჩქარევად აშენებულია ვრანგელის მიერ, მას ყრილიც კი არა აქვს. ორივე მხარეს დიდძალ ჯარს მოუყრია თავი. ბრძოლის ველზე აქა-იქ ალი ავარდება ხოლმე. ამ დიორამაზე მუშაობენ მხატვრები ა. ვ. მორავოვი და ა. ა. პრეეცსლავსკი.

1935 წელს თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ე. ვოროშილოვის ინიციატივით მხატვართა ჯგუფი შეუდგა გრანდიოზული პანორამისა და რამდენიმე დიორამის შექმნას, რომლებიც პერეკოპთან ბრძოლებს ასახავენ

უშუალო მუშაობას მაკეტზე წინ უსწრებდა იმ პერიოდის ბრძოლების ისტორიის, წითელი არმიის შეიარაღების შესწავლა. გამოჩენილი საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები უკითხავდნენ მხატვრებს არტილერიის, ქვეითი, ცხენოსანი ჯარის და სხვ. ტაქტიკას. საბუთების ზუსტი გაცნობის შემდეგ მოეწყო პირველი გამგზავრება პერეკოპზე საეტიუდო მასალის შესაგროვებლად. ეს მასალა საფუძვლად დაედო იმ გამოფენას, რომელიც 1935 წელს ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალურ სახლში მოეწყო.

საბჭოთა კავშირის მარშლები ამხ. ბლიუხერი, ეგოროვი, ბუდიონი, ბრძოლების მონაწილენი, თავისი რჩევებით ეხმარებოდნენ მხატვრებ

მშრომელთა საჩივრებისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ

ჭიათურისა და ბაღდათის რაიპროკურორები მშრომელთა საჩივრებს დროულად არ ეხმაურებიან. მათთან შესული საჩივრებისა და გაზეთების რედაქციებისაგან გაგზავნილი კორესპონდენციების შედეგების შემოწმებამ, იატაკებულმა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის მიერ, დაადასტურა, რომ აქ ხშირად მშრომელთა საჩივრებისადმი დანაშაულებრივს დამოკიდებულებას იჩენენ.

გასული წლის 4 ნოემბერს ჭიათურის რაიპროკურატურაში მილიციის თანამშრომელმა ლ. ნადირაძემ შემდეგი შინაარსის განცხადება შეიტანა: ჩემს ძმისწულს, 8 წლის ცუფა ნადირაძეს, დედინაცვალი ფედოსია ნადირაძე მხეცურად ექცევა. იგი მას სისტემატურად სცემს და მოსალოდნელია ბავშვი ძოჭკლას კიდეც. განმცხადებელი სთხოვდა პროკურორს, რომ ცუფა მისთვის ჩაებარებინა და ამით ეხსნა პატარა გოგონა. პროკურორმა შ. გაბრიაძემ განცხადება უჯრაში შეინახა. მხეკმა დედინაცვალმა პატარა ცუფა მართლაც ცემით მოჰკლა 30 დეკემბერს.

რედაქციამ 8 იანვარს მიიღო ი. გოგსაძის კორესპონდენცია, რომელშიც იგი იტყობინებოდა, სოფ. კაცხის კოოპერატივის ნოქრებმა მ. კაპანაძემ და არ. კურტანაძემ 8000 მანეთი გაფლანგესო. ეს წერილი რედაქციამ გადასცა ჭიათურის რაიპროკურატურას გამოსარკვევად და დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად. კორესპონდენციამ დიდი ხანი დაჰყო პროკურატურაში. ყოფ. პროკურორმა ს. ყოწონავამ უყურადღებოდ დასტოვა ეს სიგნალი. ამ საქმეზე ძიება დაიწყეს მხოლოდ მაშინ, როცა შემოწმების შედეგად დანაკლისი აღმოჩნდა და მის შესახებ პროკურორს ეცნობა. კაპანაძესა და კურტანიძეს 13.000 მანეთის გაფლანგვა დაუდასტურდათ.

ჭიათურის რაიპროკურატურაში 3 იანვარს შევიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სახბანკის მოლარემ ს. ამილოვამ გაჰფლანგა 5.000 მანეთი. ეს ქალი გაუშვია „თავდებ ქვეშ“ ყოფ. პროკურორს ს. ყოწონავას. აღნიშნული თანხა დღესაც დაუფარავია. პროკურორის განცხადებით, ამის მიზეზი ის არის, რომ მათ ვერ გაიგეს ამილოვას მისამართი. აქვე გამოირკვა, რომ მისი თავდები ვინმე შ. ვაშაკიძე მსახურობს თბილისის ცენტრალური გამასწორებელი სახლის სააღრიცხვო განყოფილებაში. ამგვარად, 8 თვეზე მეტია, რაც ეს საქმე გაჩერებულია დაუდევრობის გამო.

17 ივნისს პროკურატურას ეცნობა, რომ ხრეითის სასოფლო საბჭოს მოლარემ პ. ჯაფარიძემ და მოანგარიშემ სუთიძემ გაფლანგეს 3000 მანეთი. ამ საქმეზე კვლევაძიებაც კი არაა დღემდე დამთავრებული.

ცოტა არაა ისეთი საჩივრებიც, რომლებიც სრულიად უყურადღებოდ დაუტოვებია პროკურატურას. მაგალითად, „კომუნისტის“ რედაქციამ 21 ივლისს ჭიათურის რაიპროკურორს გამოსარკვევად გაუგზავნა იპ. იაკობაშვილის გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც ეხებოდა სოფ. არგვეთის კოოპერატივის გამყიდველ გ. ყიფშიძის ძიერ ფასების საბჭოთა პოლიტიკის დარღვევას. ეს წერილი დღესაც პროკურატურაში დევს ხელუხლებლად.

ასევე უყურადღებოდაა დატოვებული სოფლკორ გ. ტალახაძის 10 აგვისტოს გაგზავნილი წერილი, რომელიც ეხება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლებისათვის ხელფასის მიუცემლობას.

22 აგვისტოს თარიღით პროკურორს გაეგზავნა რედაქციაში შემოსული დაუბეჭდავი წერილი პ. ჭუმბურიძისა. იგი შეეხებოდა ქურდობის ფაქტებს სოფ. ჭალოვანის კოლმეურნეობაში. ეს წერილი მიუღიათ პროკურატურაში, მასზე საჩივრის ბარათიც შეუვსიათ. მაგრამ ახლა აღარავინ იცის ამ წერილის გზაკვალი.

ხშირია რაიპროკურორების მიერ რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მშრომელთა საჩივრების გადაცემის პრაქტიკა. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ჩვეულებრივ საჩივრის მხოლოდ გაგზავნას სჯერდება და შედეგებს აღარ კითხულობს.

აი ამის მაგალითებიც: ხ. კუპატაძემ ჭიათურის რაიპროკურორს 7 ივლისს მისცა სიგნალი იმის შესახებ, რომ კაცხის სას. საბჭომ გასცა ყალბი მოწმობა მრავალშვილიანობაზე. პროკურორმა ეს ცნობა რაიმილიციის უფროსს გადასცა და შედეგი აღარ მოუკითხავს.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციიდან ჭიათურის რაიონის პროკურორის სახელზე 15 ივლისს გაგზავნილი კორესპონდენცია ი. კიპაროიძისა სრული ხელფასის მიუღებლობის შესახებ პროკურორმა რაიფინგანს გადასცა და ამით დაკმაყოფილდა.

ბაღდათის რაიპროკურორმა ივნისში მიიღო მარუსა მსხვილიძის განცხადება ქმრისაგან უმწეო მდგომარეობაში დატოვების შესახებ. პროკურორმა ეს განცხადება რაიმილიციას გადასცა, ხოლო თავხედი ქმრის წინააღმდეგ მიღებული თუ არა რაიმე ზომები, ეს აღარ იციან.

ბაღდათის რაიონში ხშირად დაუშვებლად აჭიანურებენ საქმეების გარჩევას. აქ გასული წლის ივნისში შეიდა ცნობა, რომ ვარციხის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური საწყობის გამგეს კ. ბასილაძეს აქვს მნიშვნელოვანი გაფლანგვა. პროკურორმა საჩივარი გადაუგზავნა ვარციხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს. რაიპროკურატურის მოუქნელი მუშაობის გამო აღნიშნულის გამორკვევა დღემდე ჭიანურდება.

ფოსტის დამტარებლის ტ. გაგოშიძის წერილი, რომელიც რედაქციამ ბაღდათის რაიპროკუროს გასული წლის 22 აგვისტოს გაუგზავნა, დატოვებულია უშედეგოდ.

ჭიათურისა და ბაღდათის რაიონების პროკურორები საჭიროდ არ სთვლიან შესული საჩივრის გამო მიღებული ზომების შესახებ აცნობონ რედაქციას და წერილის ავტორს. სიგანგაშია ის გარემობა, რომ მათგან პასუხი თითქმის არცერთხელ არ მიუღია რედაქციას ისე, რომ რამდენჯერმე არ გაეხსენებინოს. მაგალითად, ჭიათურის რაიპროკურორმა ჩვენი კორესპონდენტის მ. ხუციშვილის წერილზე პასუხი მხოლოდ სამჯერ შეკითხვის შემდეგ გვაღირსა. ეს არ შეეხება მარტო ამ ორ რაიონს. იგივე ითქმის საქართველოს ბევრი რაიონის პროკურორებსა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებზე. მშრომელთა საჩივრებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და მათზე პასუხის დროულად მიუცემლობას ბოლო უნდა მოეღოს.

ჭიათურისა და ბაღდათის რაიპროკურატურაში გასული წლის საქმეები ახლაც ბევრია. ჭიათურაში ისინი 280-ზე მეტია, ხოლო ბაღდათში—44. მათ შორის ბევრი 5-6 თვის წინათ არის აღძრული და ძიების კიდევ დაყოვნება დანაშაულს უდრის. ბაღდათის რაიონში მხოლოდ ერთი გამომძიებელი მუშაობს. ძველსა და ახალ საქმეებს იგი თავს ვერ გაართმევს. ამიტომ რესპუბლიკის პროკურატურამ ამ რაიონს დროებით, გადმოყოლილი საქმეებისაგან განტვირთვამდე მაინც, უნდა მისცეს მეორე გამომძიებელი.

ჭიათურის რაიონს, მართალია, სამი გამომძიებელი ჰყავს, მაგრამ აქ ამ მხრივ მდგომარეობა მაინც ცუდია. აქ გამომძიებელ შ. გოდაბრელიძეზე გასული წლის 90 საქმე ირიცხება, გამომძიებელ შ. ხაინდრავაზე კი—88.

რესპუბლიკის პროკურატურამ გადაჭრით უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ გადმოყოლილი საქმეებისაგან დროზე განიტვირთონ რაიონის პროკურატურები.

გ. საყვარელიძე.

ქუთაისის ლ. პ. ბერიას სახელობის მე-13 სკოლის პიონერი მოწაფეები დასვენების დღეს ქალაქის ბაღში. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): ლია ქოგუაშვილი, ეთერ მებუკე, გუგული ლორთქიფანიძე და ნაზიკო ჯიქიძე.

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ახალი საფოსტო ნიშნები

მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს გასული წლის გაზაფხულზე მამაცი საბჭოთა მფრინავებისა და პოლარული მუშაკების გმირულ გადაფრენას მოსკოვიდან ჩრდილოეთ პოლუსზე. გადაწყვეტილი იყო ამ ისტორიული რეისის აღბეჭდვა საფოსტო ნიშნებზე, რომლებიც მილიონი ცალობით ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ამჟამად ნიშნები უკვე იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა გასასყიდად.

ახალი საფოსტო ნიშნები გამოშვებული იქნება 10, 20, 40 და 80 კაპ. ღირებულებისა. ნიშნებზე გამოსახულია საბჭოთა კავშირის გმირების ვოდოპიანოვის, მოლოკოვის, ალექსეევისა და მაზურუკის ლეგენდარული საჰაერო ხომალდების გზა ჩრდილოეთ პოლუსისაკენ.

საჰაერო გიგანტები ისევე უკან დაბრუნდნენ დიდ მიწაზე. მოდრეიფე ყინულზე დარჩა ოთხი პოლარელი. გასული წლის 21 მაისიდან ამნანაგები პაპანინი, კრენკელი, შირშოვი და ფეოდოროვი ებრძვიან უდიდეს სიძნელეებს და მნიშვნელოვან სამეცნიერო დაკვირვებებს აწარმოებენ ყინულზე. გმირულ პოლარელთა პატივსაცემად კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უშვებს სპეციალურ კონვერტს, რომელზედაც გამოსახულია „ჩრდილოეთ პოლუსის“ ისტორიული სადგური.

ბრძოლა მალარიასთან

ჩვენში და სხვა ქვეყნებში ჩატარებულმა ცდებმა გამოარკვიეს, რომ მალარიის საწინააღმდეგო საბჭოთა პრეპარატი აკრიხინი თავისი მოქმედებით სავსებით ეთანაბრება ქინაქინას, ზოგიერთი თვისების მხრივ კი სჯობნის კიდეც მას (ნაკლებად მწარე გემო აქვს, არ იწვევს ხმაურს ყურებში და სხვ.). აკრიხინის ქარხანა, რომელიც შარშან ამუშავდა, უზრუნველჰყოფს ამ პრეპარატის ფართოდ დანერგვას.

აკრიხინს აქვს პროფილაქტიკური თვისებები. მისი სისტემატურად მიღება იმ პირების მიერ, რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ მალარიან ადგილებში, მრავალ შემთხვევაში იცავს მათ მალარიით დაავადებისაგან.

ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებსაც მალარია შეხვდებათ შემოდგომაზე, ავად ხდებიან მომავალ გაზაფხულზე. დაკვირვებამ დაადასტურა, რომ აკრიხინს შეუძლიან ამ დაავადებათა თავიდან აცილება.

აკრიხინის პროფილაქტიკური თვისებები ფართოდ იქნება გამოყენებული უკვე მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

ზრუნვა მშობიარე ქალებზე

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი ქალთა კონსულტაციებისა და სამშობიარო სახლების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

უნდა დაწესდეს მუდმივი კავშირი კონსულტაციებსა და სამშობიარო სახლებს შორის. ქალთა და ბავშვთა კონსულტაციები მიმაგრებული იქნებიან განსაზღვრულ სამშობიარო სახლებზე. ორსულ ქალთა მომსახურებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხის განსახილველად მოწვეული იქნება სამშობიარო სახლებსა და კონსულტაციებში მომუშავე ექიმთა შეერთებული კონფერენციები.

მშობიარეთა გადაყვანა სამშობიარო სახლებში უფასოდ უნდა ხდებოდეს. სამშობიარო სახლების ხელმძღვანელებს კატეგორიულად ეკრძალებათ უარი სთქვან მშობიარეთა მიღებაზე, თუ კი ერთი თავისუფალი საწოლი მაინც მოიძებნება სახლში. თუ სრულებით არ არის თავისუფალი ადგილები, მშობიარე შეიძლება გაიგზავნოს სხვა სამშობიარო სახლში მხოლოდ მას შემდეგ, თუ ეს საკითხი შეთანხმებული იქნება წინასწარ ტელეფონით მორიგე ექიმთან.

ქალებისათვის, რომელთაც გაურთულდათ მშობიარობა, სამშობიარო სახლებში დაჯავშნული იქნება სპეციალური საწოლები.

დედების გამოწერა სამშობიარო სახლებიდან დასაშვებია მხოლოდ არა უადრეს 8 დღისა მშობიარობის შემდეგ. თუ დედის ან ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა, მათი გამოწერა სამშობიარო სახლიდან ნებადართულია მხოლოდ სრული გამოჯანსაღების შემდეგ.

ჭ ა დ რ ა კ ი

ჟურნალი თბილისის პირველობაზე

მესამე ტურში სოროკინ — ებრალიძის პარტიის (ჩეხური დაცვა) მდგომარეობა გამარტივდა, ებრალიძემ თანაბარ მდგომარეობაში უარი სთქვა ყიბზე. მე-40 სვლაზე უხეში შეცდომით წაადო პაიკი და დასთმო პარტია.

კარგად ჩაატარა თავისი პარტია როლოვთან ფალავანდიშვილმა. მან შავებით ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი, გამონახა სწორი გეგმა და პარტია როლოვის მეფის დაშამათებით დაამთავრა.

მალუტცევ — ვეიზერის პარტიაში უკანასკნელმა ალოიანინის დებიუტი აირჩია, ამ დებიუტით იქმნება რთული და საინტერესო ბრძოლა, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა პარტია მშვიდად გაითამაშეს, დასკვალეს ფიგურათა უმეტესობა და ყიბზე შეთანხმდნენ.

ფირცხალავა — აბრამიანის პარტიაში მოსალოდნელი საინტერესო ბრძოლის მაგიერ ადგილი ჰქონდა მხოლოდ ფიგურათა დაცვლას. აქაც მოწინააღმდეგენი ყიბზე შეთანხმდნენ.

ნერსესოვმა დებიუტით სერედას წინააღმდეგ დიდი უპირატესობა მიიღო. მოსალოდნელი იყო მისი გამარჯვება, მაგრამ სერედამ თავისი პოზაცია ზედმეწყვნილ კარგად დაიცვა და ყიბზე მიაღწია.

ალსანიშნავია ახალგაზრდა მოჭადრაკის ხოტელაშვილის მოფიქრებული და გაბედული თამაში. შიშოვთან სიცილიურ დებიუტში უპირატესობა თავიდან ბოლომდე ხოტელაშვილის მხარეზე იყო. პარტია გადაიდო ხოტელაშვილისათვის მოგებულ მდგომარეობაში.

ლამბარაშვილმა მირზაევის წინააღმდეგ ლაზიერის გამბიტში რუბინშტეინის ვარიანტი აირჩია. გადადებულ პარტიაში ლამბარაშვილს ზედმეტი პაიკი და მოგებული მდგომარეობა აქვს.

არუთინოვ — ასოვსკის პარტია გადაიდო პირველისათვის უპარატეს მდგომარეობაში.

ახალი სასჯელმრეველი თელავში

თელავი (საკ. კორ.) 1932 წლიდან შენდება თელავში სასტუმრო, მაგრამ მის დამთავრებას არაფერი ეშველა. ხალხის საზიზღარი მტრები ყოველხარად ცდილობდნენ მშენებლობის გაჭიანურებას. 1936 წლამდე მშენებლობა თითქმის შეწყვეტილი იყო, მხოლოდ 1937 წელს გაიშალა მუშაობა იმ ვარაუდით, რომ სასტუმრო გიეხსნით 1938 წლის 1 იანვარს, მაგრამ ვერც ეს მოხერხდა, რადგან ამ საქმისათვის გათვალისწინებული 56.000 მანეთი სხვა სახლის მშენებლობას მოახმარეს. ახლა არც ეს სახლია დამთავრებული და არც სასტუმრო.

სასტუმროს მშენებლობისათვის თავიდანვე გათვალისწინებული იყო 711.000 მანეთი, დღემდე დახარჯულია 457.000 მანეთი, მაგრამ შენობა მხოლოდ სანახევროდ არის მთავაუღული. სასტუმროს მშენებლობის დასამთავრებლად წელს გათვალისწინებულია 60.000 მახეთი, რაც საკმარისი არ არის, საჭიროა ორანაკლებ 254 ათასი მანეთისა.

ხ. ყუჩარაშვილი.

დღითიდღე იზრდება და ფართოვდება კურორტი წყალტუბო, შენდება ახალი შენობები: სასტუმრო, კლინიკური სანატორიუმი, საცხოვრებელი სახლი თანამშრომელთათვის და სხვ.

სურათზე: კოლონადა სკვერის შესავალში პირველ საბანაზანო შენობასთან

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სასამართლო

„ძიება“ ოთხი წლის მანძილზე

1935 წლის დეკემბერს სოფ. პატრიკეთში უცნობმა ბოოტლმომქმედებმა მოჭკლეს გიორგი გოდუაძე. დატრიალდნენ საგამომძიებლო ორგანოები, დაიწყო დაკითხვები, შესდგა აუტება საექსპერტო დასკვნები, პასუხისგებაში მისცეს ი. ბერაძე და ლ. კაკუშაძე. ი. ბერაძე მხოლოდ იმიტომ, რომ მის სახლში ნახეს ძველი დაჟანგებული, ხანჯალი სისხლის ლაქებით, თუმცა გაურკვეველი იყო ეს სისხლი ადამიანისაა თუ არა. მიუხედავად ამისა, საგამომძიებლო ორგანოებმა ბრალდება მაინც „დამტკიცებულად“ ჩასთვალეს.

ლ. კაკუშაძის მიმართ საბრალდებო დასკვნა ეყრდნობოდა იმ „უტყუარ“ საბუთს, თითქოს მან ორჯერ იტირა გ. გოდუაძე და აგრეთვე თითქოს დაზარალებულს ინტიმური კავშირი ჰქონდა კაკუშაძის ცოლთან. „ალბათ ამიტომ მოჭკლავდაო“ — ასკვნიდა გამომძიება.

ერთი წლის შემდეგ, სასამართლოს სხდომაზე, რაიონის ყოფ. პროკურორმა ი. ცხოიძემ საჭაროდ სცხო პასუხისგებაში მიეცა დამატებით ოლღა და ალიოშა ბერაძეები, ხოლო კიდევ ერთი წლის გასვლის შემდეგ—იაშა ბერაძეც (დედა-შვილები).

ამ შემთხვევაში პროკურორა დაიყრდნო შემდეგ საფუძველს: ოდესღაც დაზარალებულს [illegible] ოლღა ბერაძის შვილი, ამ [illegible] ამ გოდუაძის მოკვლა ოლღა ბერაძის საქმე იქნებაო. იაშას კი პროკურორი დანაშაულად უთვლის გოდუაძის სიკვდილის შემდეგ, ცოლის შერთვას (!). ალიოშა ბერაძეს მხოლოდ იმაში ედება ბრალი, რომ ოლღას შვილია და იაშას ძმა. სხვა მაბრალებელი მასალა საქმეში არა ჩანს.

როგორც იყო ეს საქმე 1937 წლის 14 ივლისს გაირჩა მოსამართლე კუბოლაშვილისა და პროკ. ცხოიძის მონაწილეობით. ლ. კაკუშაძეს, ივანე, იაშა და ალიოშა ბერაძეებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა შვიდ-შვიდი წლით, ხოლო ოლღა ბერაძეს 3 წლით.

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს განაჩენი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ივანე ბერაძის ხანჯალზე სისხლი ადამიანისა არ არისო. საქმე ხელახლი გამოძიებისათვის გადაეცა ისევე ქუთაისის პროკურატურას.

წინასწარი გამოძიებით იაშა და ალიოშა ბერაძეები განთავისუფლებულ იქნენ დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო, ხოლო დანარჩენნი მიმართ ისევ შესდგა ახალი საბრალდებლო დასკვნა, თუმცა საქმეს ახალ არაფერი შეუმატებია. პირიქით, წაიკითხეთ ბრალდებები სავსებით გაჭარუყლდა. გამოძიება მაინც დღემდე გაჭიანურდა.

იაშა ბერაძე, როგორც ეთქვით, გაუთავებულ იქნა და კომკავშირშიც აღადგინეს, მაგრამ დღემდე არ არის აღდგენილი კოლმეურნეობის წევრის უფლებაში. ამ საკითხის გადაწყვეტას ქუთაისის რაიმიწგანს გამგე ტრაპაიძე აჭიანურებს.

სათანადო ორგანოები, ალბათ, თავის სიტყვას იტყვიან ამის შესახებ.

ეგ. გვასალია

ახალი წიგნები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

პროფ. ი. ჯავახიშვილი — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ფასი 60 კაპ., „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ფასი 2 მან., „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია (ქართველური ენები)“—ფასი 3 მან., „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი“ № 1 და ს. ტერ-ავეტისიანი — „ქალაქი ჯუღა“ (მასალები ჯულფინელებან სავაპრო ურთიერთობათა ისტორიისათვის XV-XVII-ს.)—ფასი 10 მანეთი.

ინსტიტუტი

ქ. გ. ღვინიაშვილი

13 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული და ფარსიული ენების ლექტორი ქრისტეფორე ღვინიაშვილი.

ქრისტეფორე ღვინიაშვილი ძველ ქართველ ოფიცერთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც თავდადებულად და უანგაროდ ემსახურებოდა ქართული კულტურის შენარჩუნების საქმეს თვითძალადობელური რუსეთის პოლიტიკის პირობებში და აღფოთოვანებით განაგრძობდა შრომას საბალშო განათლების დარგში საბჭოთა საქართველოს ფრთაგაშლილ სოციალისტური მშენებლობისათვის.

მისი მოწაფეები, დღეს ჩვენი სოციალისტური საშობლოს კეთილდღეობისა და წარმატებისათვის თავგამოდებით მებრძოლნი, მადლობით იგონებენ ამ ადამიანს, რომელიც თავისი შრომით, მაღალი ზნეობით, ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულით საუკეთესო თვალსაჩინო ხიმუში იყო პატიოსანი, საზოგადოებრივ მოვალეობათა ერთგული ადამიანისა.

ს. დანელია, შ. ნუცუბიძე, ვ. აბაშელეიანი, ხ. ვაჩნაძე, ია. ძაძამიძე, ე. ტატიშვილი, გრ. ჯაფარიძე, ვ. ურუშაძე, ი. მრევლიშვილი, პ. იოსელიანი, ნ. იოსელიანი, ს. ფურცელაძე, კ. ნანეიშვილი, გ. კვიტაშვილი, ა. ნაცვლიშვილი, ვ. მურვანიძე, დ. მგელაძე.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

16 თებერვალს

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკური პარტია იმპერიალისტური ომისა და რუსეთის თებერვლის მეორე რევოლუციის პერიოდში (1914—1917 წ. მარტი)“.

კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. ზ. სიმონიშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე — „1938 წლის სამეურნეო გეგმა და სტახანოვური მოძრაობის ამოცანები“.

კონსულტანტები: ქართულ ენაზე—ამხ. შ. სიმონიშვილი, რუსულ ენაზე—ამხ. ლ. ლენინი.

დასაწყისა საღამოს 7 საათზე.

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ 16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება ამხ. დანკოს მოხსენება თემაზე: „წოთელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წლისთავი“.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამბროსი პავლეს-ძე ჭკვეტაძეს, სევერიანე ალექსის-ძე ფარცხალაძეს, ივანე ნიკოლოზის-ძე თუშურაშვილს და გიორგი ეტატეს-ძე ხმიადაშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ყვავაძესთან (ძერჟინსკის, 8, პირველი სართული).

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ალექსანდრე პეტრეს-ძე კახაძეს, გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ჭელიძეს და გიორგი შაქროს-ძე ბედოშვილს 1938 წ. 16 თებერვალს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8) ამხ. დაისთან.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი

კ. შეროზია.

რუსთაველის სახ. დრამატული თეატრი

1938 წ. სეზონი

16/II	წარმოდგენა 101 **გმირთა თაობა**
17/II	წარმოდგენა 102 **ნაპერწკლიდან**
18/II	დილის წარმოდგენა **ნაპერწკლიდან** დასაწყისი 12 საათზე.

13 თებერვლიდან გაიცემა მუდმივი ადგილების ბილეთები, მე-4 გადასახადი სავალდებულოა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში დილის 12 საათიდან 4 საათამდე საათანადო მინდობილობის წარდგენით. სალარო ღია 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

16/II	მუდმ. ადგ. ტალონი № 107 **ჰიკის ქალი**
17/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 108 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 **ქეთო და კოტე**
18/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 109 **ზოსკა**

დასაწყისი საღ. 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

16/II წარმ. № 104	**ნაპერწკლიდან**
17/II წარმ. № 105	**ნაპერწკლიდან**
18/II	დილის წარმოდგენა **სამანიშვილის ღელინაცვალი** დასაწყ. ს. ღამის 12 საათზე.

დასაწყისი 8 საათზე. სალარო ღია დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

სახელმწიფო ცირკი. ტელ. 3-11-44

დღეს. 16 თებერვალს

ცირკის სანახაობა

განახლებული ერცელი მრავალფეროვანი პროგრამა ატრაქციონი **ნივა მარა** ეკლერის **ლათვების** ჯგუფი და მთელი რიგი სხვა ნომრები.

დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო ღია 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

დღეს სახელმწიფო თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი **ნოველები გმირ ფურნავეებზე** დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ხმოვ. მხატვრული ფილმი **ალამასების ხეობა** დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვ. ფილმი **ბალტიელები** დასაწყ. 6 ს.
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი **თეთრად მოსჩანს ოგბოლი იალქანი** დასაწყ. 6 ს.
ხელოვანი კომუნალური ქ. № 9	ახალი ხმოვ. ფილმი **ბალტიელები** დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვ. დოკუმენტ ფილმი **კიროვი**
ახალი ამბები	

ესტრადის თეატრი

პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29

16—17—18 თებერვალს ტალონები № 46, 47, 48

მოსკოვის ესტრადის საღამოები

კონფერანსიე კონსტანტინე ედუარდის-ძე **ბიბშმანი**

დაწვრილებით აფიშებში დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ.

18 თებერვალს **დილის კონცერტი.** საბავშვო ამბონემ. ძალაშია. ტალონი № 2.

17679

ეძიები

მ. ბ. შახნაზაროვს

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება.

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი. მიღება საღ. 5-დან 9 საათამდე. კრასნოგორის ქ. № 33. მიღება სადარბაზო შესასვლელიდან. 17660

სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ლექტორ **ქრისტეფორე ბაბრიელის-ძე ღვინიაშვილის** გარდაცვალებას. 17680

ფაქტიური რედაქტორი — თბილისი, რუსთაველის პრ. № 16, ბგმოცემელობის — რუსთაველის პრ. № 34; ტელეფონები: საქმიანი — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—41, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის ჟურნალისტის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 68.

მოგვლინების ტელეფონი 1494

დ. ფანჩულიძე

ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილესათვის მზადებამ, ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულმა ქართველ მწერლებში უდიდესი შემოქმედებითი ენტუზიაზმი გამოიწვია. ბრძნული სტალინური იდეებით შთაგონებულმა პოეტებმა შეჰქმნეს მხატვრული სატყვის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც საბჭოთა პოეზიაში შევა, როგორც ძვირფასი განძი.

„ამომცემლობამ „ფედერაციამ“ კ. ჩარკვიანის, პ. ინგოროყვას და ს. ჩიქოვანის რედაქციით მშვენიერი წიგნი გამოსცა, სადაც თავმოყრილია ძველი და ახალი მწერლების ლექსები, მოთხრობები და კრიტიკული სტატიები.

კრებული იხსნება ჩვენი დროის ნიჭიერი პოეტის ალ. აბაშელის ლექსით — „გამოეშვა მთვარე გველსა“. პოეტი გრძნობს სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ბედნიერებას, იგი აღფრთოვანებულია ამით, რომ უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი ასე დიდებულად დაიფასა საბჭოთა ხელისუფლებამ. პოეტი სწერს:

„დაუცხრომელო გმირებო, რკინის სიმტკიცით ნაგებო,
სინათლისათვის მებრძოლთა უკვდავო ამხანაგებო,
მახარებს ჩვენს დიდ ბრძოლოთა შენი გმირული შემოსვლა,
დიდება იმას, ვინც აანთო ცა ვარსკვლავებით
და რუსთაველი ტყეთობიდან გამოიყვანა!“

ასეთი ანთებული გულით უმღერის პოეტი ალ. გომიაშვილი სამშობლოს, ამაღორძინებელს, ხალხთა ბრძენ ბელადს — დიდ სტალინს.

ქართველმა საბჭოთა პოეტებმა დიდი სიყვარული და თანაგრძნობა გამოუცხადეს შოთა რუსთაველს. მაღალი პოეტური კულტურისა და ლირიკული განცდის პოეტი ი. გრიშაშვილი სწერს:

„ში იმის სახეს გულში ვატარებ,
მე იმის სიტყვებს ეხლაც ტყვედ ვყევარ.
თამარ-დედოფლის თათებს ვადარებ
სტრიქონში შებმულ რითმების ყელთარს“.

ასე ღრმად გრძნობს ჩვენი პოეტი შოთა რუსთაველის ცხოველმყოფელ პოეზიას, ასე ღრმად განიცდის იგი მის სიყვარულს.

გულმხურვალედ აღგზნებულმა ჩვენმა საბჭოთა პოეტებმა მრავალი ლექსი მიუძღვნეს უკდავ პოემას, „აღორძინების ხანის ოქროს საშვებს“, კაცობრიობის კულტურის უდიდეს სალაროს, „ვეფხის-ტყაოსანს“.

ჩვენი ეპოქის ნიჭიერი მომღერალი გიორგი ლეონიძე თავის ლექსში—„ვეფხის-ტყაოსანი“ ასე მიმართავს მას:

„გწვავდნენ და არ იწვებოდი
ცეცხლში დიდების მხვეპელი;
ვერც ქარაშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი!“

ამ ლექსში კარ